ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 ივნისი, 2020 №125 (8389) ფასი: 60 თეთრი

„ოცნების“ დეპუტატ გიორგი ჭინჭარაულს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდება წარედგინა

გვ.5

გვ.5

სოფო კილაძის ყოფილ ქმარს, ავთანდილ ხარაძეს, 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა

ირაკლი ოქრუაშვილი მაჟორიტარად საკუთარ კანდიდატურას არ დააყენებს

გვ.2

„თუ შეთანხმებას რაიმე საფრთხე დაემუქრება, მურმანის ეკლის როლს არ ვითამაშებ“

ხატია დეკანოიძე: „ღარიბაშვილი ივანიშვილის მასხარაა“

„დარწმუნებული ვარ, ოლიგარქს დავამარცხებთ და „ოცნება“ დაიშლება“

გვ.2

გიგა მაქარაშვილი: „კალაძემ უარიც რომ გვითხრას, 20 ივნისს აქცია გაიმართება“



გვ.3

„ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორია, თუ პანდემია რადიკალურად შემოტრიალდა, ჯვარი გვწერია, თუ ძალიან მძიმე სიტუაცია დადგა და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რა თქმა უნდა, დავემორჩილებით“

გვ.2 ირაკლი ღარიბაშვილი: „უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას ცდილობდა“

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ფულის ქეშად დარიგებაც ვეღარ გამოუვა“

„მაჟორიტარობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, პოლიტიკური წონა და გამოცდილება. ამ ყველაფერს პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს“

გვ.4

ანზორ აბრალავა: „მომავალ პარლამენტში სიჭრელეს თითო-ოროლა პოლიტიკოსი წარმოქმნის“

მამუკა გვაძაბია: „არ მაქვს იმედი, რომ ოპოზიცია მაჟორიტარობის საერთო კანდიდატებზე შეთანხმდება“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 პოლანდიაში ქართველ მამაკაცს 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩნდა

5 შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ. დააკავეს

5 ნელი დოროყაშვილის მიმართ ბასილაშვილების ექვსივე შემაკავებელი ორდერი ძალაში დარჩა

6 პოლონეთის პოლიციამ 3 ტონაზე მეტი კოკაინი ამოიღო

ხატია დეკანოიძე: „ღარიბაშვილი ივანიშვილის მასხარაა“

„დარწმუნებული ვარ, ოლიგარქს დავამარცხებთ და „ოცნება“ დაიშლება“

იავო ნაცვლიშვილი

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს „ქართული ოცნების“ რიტორიკა ახალ საფეხურზე „აჰყავს“. მინისტრი ამბობს, რომ სანამ „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკაშია, იქამდე არ იქნება მშვიდობა. ის ოპოზიციურ პარტიებს დამნაშავეებს უწოდებს და იმუქრება, რომ მათ არც ერთ კითხვას არ უპასუხებს. ეს განცხადებები ირაკლი ღარიბაშვილმა „პალიტრანიუსის“ ეთერში გააკეთა.

როგორ გაიგეს ოპოზიციაში ღარიბაშვილის გზავნილები და ხომ არ ფიქრობენ, რომ ივანიშვილმა სატელიტი პარტიების შექმნა უკვე დაიწყო? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** საუბრობს.

– ხელისუფლებისგან გავიგეთ მორიგი არაეთიკური გამონათქვამები ოპოზიციის მისამართით და ამ მხრივ ირაკლი კობახიძე უკვე ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაანაცვლა, რომელმაც თქვა, რომ სანამ პოლიტიკაში არსებობენ ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“, ქვეყანაში არ იქნება მშვიდობა. ოპოზიციის გაქრობა უნდა მას?

– ღარიბაშვილი ბიძინა ივანიშვილის ჩვეულებრივი მასხარაა. ეს არის კორუმპირებული ადამიანი და არც ეს არის ახალი და არც მისი ასეთი განცხადებები. მას ნამდვილად არ ეშინია ასეთი განცხადებების, მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ ეს ოლიგარქიული მმართველობა დამთავრდება ოქტომბრის არჩევნებზე, იმიტომ, რომ რასაც თვლის ღარიბაშვილი, საბედნიეროდ, ასე არ თვლის საქართველოს მოსახლეობა. ამიტომ, ის, რომ საქართველოში არის ოლიგარქია და ხელისუფლების წარმომადგენლები გამდიდრდნენ ბიუჯეტის ხარჯზე, თანაც ყველა ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილთან არის პირდაპირ დაკავშირებული, დასრულდება ძალიან მალე.

ამიტომ, ღარიბაშვილს ვეტყვი, რომ ოპოზიცია არათუ არ დასრულდება, არამედ გაძლიერებულია, ერთიანია და ემზადება ბიძინა ივანიშვილის დასამარცხებლად.

– როცა თავდაცვის მინისტრი ასეთ განცხადებებს აკეთებს და ამბობს, რომ პარლამენტში არ უპასუხებს ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ კითხვებს, როგორ აღიქმება ეს დემოკრატიული საზოგადოებისთვის?

– ჩვენ ხომ ვიცით, როგორ არჩევს ბიძინა ივანიშვილი ადამიანებს! თავდაცვის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი არიან ის ადამიანები, რომლებიც მის მიმართ ლოიალურად არიან განწყობილი.

– ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილი ნაკლებად აინტერესებს ჩვენს საზოგადოებას. მე საკითხს ვსვამ საერთაშორისო საზოგადოების აღქმაზე...

– ზუსტად მაგ კუთხით მიმყავს საუბარი. მაგას ვამბობ, რომ ივანიშვილი თვითონ არჩევს ისეთ ხელისუფლებას, ვინც მის მიმართ არის ლოიალურად განწყობილი და არ გამოდის სახელმწიფო ინტერესებიდან. ირაკლი ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ივანიშვილმა ჯერ გუნდიდან გააგდო და მერე ისევ უკან დააბრუნა. ეს საჯარო ფაქტია. ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობს ხელისუფლება. ახლა მთავარია, რომ ჩვენს ამომრჩეველთან ძალიან სერიოზული კომუნიკაცია დავამყაროთ და გადამწყვეტი არჩევნებისთვის მოვემზადოთ.

– კი ამბობთ, ოქტომბერში უნდა დავასრულოთ ოლიგარქიაო, მაგრამ არჩევნების კონტექსტში მამუკა მდინარაძემ თქვა, რომ ოპოზიცია 35-40%-ზე მეტს ვერ აიღებს ჯამში და ასევე ხაზს უსვამს, დაპირისპირებაა ოპოზიციაში. ეს რა ნარატივია?

– ალბათ, ის, რაც უნდათ, რომ იყოს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ბოლო არჩევნები, რომელშიც „ქართული ოცნება“, ვითომ როგორც პოლიტიკური გაერთიანება, მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არ არის პოლიტიკური გუნდი. სიმძიმის ცენტრი აქ არის ფული და ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი.

– დაიშლება, როგორც პარტია?

– ამაში დარწმუნებული ვარ. როგორც კი დამარცხდებიან არჩევნებში, მაშინვე დაიშლებიან, იმიტომ, რომ ეს ხომ არ არის ადამიანების იდეოლოგიური თანხვედრა. ეს არის ფულის გარშემო ადამიანების გაერთიანება, იმ ადამიანების, რომლებსაც საკუთარ კეთილდღეობაზე აქვთ აგებული პოლიტიკური დღის წესრიგი. ამიტომ, რასაკვირველია, ის დაიშლება.

მაგრამ ჩვენი ამოცანა უნდა იყოს არჩევნებზე კონცენტრირება. დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობას უნდა, რომ ოლიგარქიული მმართველობა ჩამოაცილოს და ეს მოხდება ძალიან მალე. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ეს რამდენიმე თვე ოპოზიციამაც ეფექტიანად გამოვიყენოთ.

– ოპოზიციაშიც იყო პრობლემები. მოვისმინეთ ჩვენ ეს განცხადებები. არის შეუთავსებლობა თუ ინარჩუნებთ ერთიანობას?

– სხვადასხვა მოსაზრება ყოველთვის არის ოპოზიციაში. მოლაპარაკების იმ მაგიდასთან, რომლის ირგვლივაც ოპოზიცია ზის, არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმას წარმოადგენენ. ჩვენ არ ვიზიარებთ მათ პოლიტიკურ პლატფორმას, ისინი ჩვენსას არ იზიარებენ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოლაპარაკებები შედგა და საერთო პრინციპებზე, პრაქტიკულად, შეჯერდა ოპოზიცია. ერთ-ერთი ასეთი საერთო პრინციპად მე მიმაჩნია, რომ არავინ შეუქმნას ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკური უმრავლესობა პარლამენტში არჩევნების შემდეგ.

რაც შეეხება ინიციატივას, რომელიც გაჟღერდა ჩვენ მიერ თბილისში მაჟორიტარულ კანდიდატებზე, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ გვსურს ოპოზიციის ერთიანობა და ამას ხელს ვუწყობთ. ჩვენთვის, როგორც ყველაზე მსხვილი პარტიისთვის, რომელსაც ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა აქვს, მოსაზრებების განსხვავებულობის მიუხედავად, მთავარი პრინციპია, რომ ოპოზიცია ერთიანი იყოს, რათა ივანიშვილი დამარცხდეს. როგორი იქნება კონფიგურაცია, შეთანხმდება თუ არა დანარჩენი ოპოზიცია მაჟორიტარებზე და ა.შ. ესეც ოპოზიციური პარტიების ერთგვარი გამოცდაა.

– იმ პროცესსაც ხომ არ ხედავთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა უკვე დაიწყო სატელიტი პარტიების შექმნაზე მუშაობა?

– შესაძლებელია, ჰქონდეს ასეთი იდეა და დახარჯოს ფული ამ თვალსაზრისით. ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ, მაგრამ პოლიტიკური ხმების მოგროვებას ძალიან დიდი პოლიტიკური კაპიტალი სჭირდება. არა მგონია, გაუვიდეს ამომრჩეველზე ძალადობა და მოსყიდვა. კიდევ ვიმეორებ, აქ მთავარია, ადამიანებმა იგრძნონ, რომ მოდის ისეთი ძალა, რომელიც მათ პრობლემებს გადაჭრის, ქვეყანას გამოიყვანს ეკონომიკური კრიზისიდან.

– 2 დღის წინ დაფუძნდა დამოუკიდებელი დეპუტატების პარტია, რომელმაც ოპოზიციასთან ხაზი გაავლო. ამან არ გაგიჩინათ კითხვები?

– მესმის თქვენი კითხვის არსი, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომელზეც ოპოზიცია უნდა შეთანხმდეს, თუ ის ნამდვილი ოპოზიციაა, არის ის, რომ მათ თქვან ღიად და დეკლარირებულად, რომ არ შეუქმნიან უმრავლესობას ივანიშვილს პარლამენტში. ალბათ, წინასაარჩევნოდ რაღაც დეკლარაციის მიღება იქნება საჭირო და ნათლად გამოჩნდება, ვინ არის მზად, მათ შორის არჩევნებზე.

– ანუ ამოსავალი უნდა იყოს არა ის, იქნება თუ არა სხვა ოპოზიციურ პარტიებთან კოორდინაციაში, არამედ ის, რომ მათ ივანიშვილს უმრავლესობა არ შეუქმნან?

– ეს არის მთავარი პრინციპი, რომ ეს ადამიანი ჩამოვიცილოთ ხელისუფლებიდან. რაც შეეხება ოპოზიციის კოორდინაციას, პროდასავლური ძალების ერომანეთში კოორდინაცია რომ უნდა ხდებოდეს, ესეც დემოკრატიის ნაწილია. კარგი იქნება, თუ ამ კუთხითაც ნაბიჯები იქნება გადადგმული,

– უკრაინულ მედიაში დაიწერა, რომ შეესაძლოა, უკრაინის შს მინისტრად გიხილოთ. არის თუ არა რეალური ეს ინფორმაცია?

– კი, იყო ასეთი საუბარი უკრაინულ მედიაში, ვინაიდან ბევრი კითხვაა უკრაინის შს მინისტრთან და პოლიციის რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც, სამწუხაროდ, გაჩერდა და პროგრესი აღარ არის, მაგრამ მე დავბრუნდი საქართველოში და ჩემს კოლეგებს ვუთხარი, რომ ვაპირებ ქართულ პოლიტიკაში აქტიურობას.

– შემოთავაზება არ მიგიღიათ უკრაინიდან?

– არა, ოფიციალური განხილვები არ ყოფილა.

ირაკლი ოქრუაშვილი მაჟორიტარად საკუთარ კანდიდატურას არ დააყენებს

„თუ შეთანხმებას რაიმე საფრთხე დაემუქრება, მურმანის ეკლის როლს არ ვითამაშებ“

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი მაჟორიტარად კენჭისყრას არ აპირებს.

ამის შესახებ მან გუშინ, 9 ივნისს, ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განაცხადა.

– თუ ხელისუფლების ცვლილებაზე ვთანხმდებით, მაშინ ამის ერთადერთი ფორმულაა ერთობა. ამის გარეშე არც ერთ ცალკე აღებულ ძალას ამის გაკეთების არანაირი რესურსი და შანსი არ აქვს. თუ ერთობა არ იქნება, ამას ვერ მივაღწევთ. თუ იმისთვის ვიბრძვით, რომ ოპოზიციური სკამები მოვიპოვოთ პარლამენტში, მე ამის ამბიცია არ მაქვს. დარწმუნებული ვარ – არც ბევრს. რადგან მთავარ მიზანს ვიზიარებთ, მაშინ ერთობა უნდა შედგეს რაც შეიძლება მალე.

დღეს 1 მანდატს ვიყოფთ 5 პარტია 7 კაცის მეშვეობით. 1 კაცია ზედმეტი რომელიღაც. რადგან ერთია ზედმეტი, ამ ერთს ზედმეტად განვიხილავ ჩემს თავს და ჩემს საკითხს საერთოდ ვხსნი დღის წესრიგიდან. არ დავაყენებ თბილისში ჩემს კანდიდატურას და 6 ადამიანი 6 მანდატს დასჯერდება, 6 ადამიანი დარჩება 6 ადგილის გადასანაწილებლად, არანაირი პრობლემა აღარ იქნება და 20 ივნისს ჩვენ საზოგადოებას უნდა გამოვუცხადოთ, ვინ იქნება ის 6 ადამიანი, ვისზეც ოპოზიცია შეთანხმდება. არსად არ დავაყენებ კანდიდატურას.

იმის გამო, რომ ჩემი ციხეში ყოფნის დროს რაღაც საუბრები მიდიოდა და ამ საუბრებში შეთანხმების კონტურები გამოიკვეთა, პრობლემას ვხსნი. 6 ადამიანი რჩება მარტო. ამ შეთანხმებას წერტილი დავუსვათ, ვთქვათ, რომ ერთიანი გუნდით გავდივართ ყველანი.

თუ შეთანხმებას რაიმე საფრთხე დაემუქრება, არ შევიტან დისკომფორტს და მურმანის ეკლის როლს არ ვითამაშებ, მარტო პროპორციულ არჩევნებში მივიღებ მონაწილეობას. სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა ვივლი პროპორციული ხმებისთვის. თბილისში, ვინც არ უნდა დააყენოს ოპოზიციამ, ყველას დავეხმარები. მეშინია ერთი რამის – ნაბან წყალს ბავშვი არ გადავაყოლოთ, ისევ ივანიშვილი არ დავტოვოთ ხელისუფლებაში ერთმანეთში შეუთანხმებლობის შედეგად.

თბილისში ორი ადამიანი უპირობოდ არის ისეთი, რომელსაც თვალდახუჭული დავუჭერ მხარს – ელენე ხოშტარია და ალეკო ელისაშვილი. სხვები ჯერ მე თვითონაც არ ვიცი.

20 ივნისს ჩვენ თბილისს უნდა ვუთხრათ, შევთანხმდით თუ არა და ვისზე შევთანხმდით. ჩემს საკითხს საერთოდ ვაგდებ დღის წესრიგიდან. ბევრი ვიფიქრე ამაზე, ადვილი გადასაწყვეტი არ იყო. სულ რაღაც ცაიტნოტში ვიყავი, სულ აკრძალული მეთოდით, წელს ქვევით დარტყმით მჩეხდნენ ხოლმე. საბოლოო ჯამში, კონკურენციაა ჩვენ შორის, კონკურენტებიც ვართ. იმის მაგივრად, რომ მე გადავსულიყავი პარტიული ორგანიზაციის მშენებლობაზე, სტრუქტურის განვითარებაზე ან პროგრამაზე მუშაობა დამეწყო, მიჭერდნენ ან ქვეყნიდან მაგდებდნენ, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას ცდილობდა“

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მას საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მან გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი შეიწყალა, არ მოსწონს.

როგორც ღარიბაშვილი განმარტავს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ზედმეტი კომენტარი მისი მხრიდან კორექტული არ იქნება.

ამასთან, როგორც თავდაცვის მინისტრი აღნიშნავს, თუ სამაგალითოდ არ დაისაჯა ყველა, ვინც ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას ცდილობდა, ქვეყანა წინ ვერ წავა.

– მე არ ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას, არ მომწონს ეს გადაწყვეტილება, ასე შემიძლია, გითხრათ, როგორც ერთმა რიგითმა მოქალაქემ. მეორე მხრივ, მე უკვე განვაცხადე, რომ პრეზიდენტმა კარგად დაასაბუთა, თუ რამ განაპირობა, რა იყო მთავარი მოტივატორი, რამაც ამ გადაწყვეტილებისკენ უბიძგა.

ვფიქრობ, როცა ასეთი ტიპის არაორდინარული გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ზედმეტი კომენტარები და მით უმეტეს, მე მთავრობის წევრი ვარ, კორექტული არ იქნებოდა, თუმცა, გიდასტურებთ, რომ ჩემთვის გაუგებარი იყო ეს გადაწყვეტილება, ვინაიდან მჯერა და მე თვითონ ვარ მომსწრე, თვითმხილველი იმ ძალადობრივი შეგონებებისა თუ მოწოდებისა და ქმედებების, რაც ამ ადამიანებმა ჩაიდინეს, უგულავამ, მელიამ, ოქრუაშვილმა და სხვებმა.

რატომ დადიან თავისუფლად ქუჩაში? ჩვენ თუ არ დავასრულეთ და სამაგალითოდ არ დავსაჯეთ ყველა იმ პრეცედენტის გამამეორებელი, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობას უკავშირდება, ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა.

ჩვენ ეს ვიწვნიეთ 90-იან წლებში. მთელი ეს უბედურება იმ დროიდან მომდინარეობს, როცა ეროვნული მთავრობა დავამხეთ. ჩვენ თუ ერთ წრეზე გვინდა სიარული, ვთქვათ, მაგრამ ერთი რამ არ დაავიწყდეთ ამ ვაუბატონებს, ჩვენ აბსოლუტურად სხვა მთავრობა ვართ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგა მაქარაშვილი: „კალაძემ უარიც რომ გვითხრას, 20 ივნისს აქცია გაიმართება“

„ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორია, თუ პანდემია რადიკალურად შემოტრიალდა, ჯვარი გვწერია, თუ ძალიან მძიმე სიტუაცია დადგა და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რა თქმა უნდა, დავემორჩილებით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილი პასუხობს.

– გიგა, გუშინ მერიაში განცხადება შეიტანეთ 20 ივნისის აქციასთან დაკავშირებით. რა პასუხს ელოდებით? უკვე ვისმენთ სხვადასხვაგვარ შეფასებასა და განცხადებას. გია ვოლსკი აცხადებს, რომ 20 ივნისს სერიოზული პროვოკაცია იგეგმება, რომ პოლიცია ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იქნება. რას ნიშნავს ეს განცხადებები?

– ეს ნიშნავს იმას, რომ „ქართულ ოცნებას“ ისევ ძალიან ეშინია პროცესების ქუჩაში გადასვლისა და აქციების. ზუსტად ამის ნიშანია პარლამენტის წინ შემოღობილი ტერიტორია, რომელიც რეალურად ერთი თვის სამუშაო იყო და ამ წუთამდე შემოღობილია მთელი სივრცე. ეს არის გამოვლინება შიშის, რომელსაც უკვე აღარ მალავს ბიძინა ივანიშვილი და თავისი რუპორების საშუალებით ცდილობს, პრევენცია მოახდინოს. ჩვენ შევიტანეთ განაცხადი მერიაში.

– რა მოთხოვნით?

– მერიას ვთხოვეთ, მარტო იმიტომ, რომ ჩვენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები ვართ და ყველა რეკომენდაცია გვინდა გავითვალისწინოთ, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის, ისე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსი, ამისთვის გვჭირდება, უბრალოდ, დღის 3 საათიდან გადაკეტილი რუსთაველი, რათა დროულად მოვახერხოთ დისტანციისთვის საჭირო ნიშნულების გაკეთება, სხვადასხვა ბარიკადის აღმართვა, რომ ადამიანები, რომლებიც აქციაზე მოვლენ, იყვნენ მაქსიმალურად მზად ყველა იმ ატრიბუტიკით, რომლებიც საჭიროა ამ რეგულაციების გათვალისწინებით.

– რამდენად მოხერხდება ამ რეგულაციებში ჩაჯდომა? ბევრი ხალხი რთული გასაკონტროლებელი იქნება.

– „ქართულმა ოცნებამ“ ხელი არ უნდა შეგვიშალოს და, პირიქით, უნდა დაგვეხმაროს რუსთაველის გადაკეტვაში. ჩვენ ვხედავთ, რომ მთელ მსოფლიოში, სადაც აქციები იმართება, ცივილიზებული სამყარო არასდროს კადრულობს, მათ მშვიდობიან აქციას ხელი შეუშალოს. სახელმწიფო ეხმარება პროტესტის მონაწილეებს დისტანციის დაცვაში. პოლიცია ძალიან აქტიურია ასეთ დროს, ხელს კი არ უშლის, პირიქით, ეხმარება. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ვნახეთ აქციები, სადაც პოლიცია მაქსიმალურად იყო ჩართული, რათა, ერთი მხრივ, არ შეზღუდულიყო გამოხატვის უფლება და, მეორე მხრივ, არ მომხდარიყო ახალი კლასტერების გაჩენის პროვოცირება. შესაბამისად, ჩვენ ვთხოვეთ მერიას, დროულად მოგვეხმაროს გადაკეტვაში იმისთვის, რომ ყველის რეკომენდაცია შევასრულოთ, რომლებიც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აქვს.

– როგორ ფიქრობთ, დაგთანხმდებათ კალაძე, მოგცემთ რუსთაველის გადაკეტვის უფლებას?

– კალაძე არ არის ვალდებული, გვიპასუხოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გვიპასუხოს და დაგვისაბუთოს, თუ უარს გვეუბნება გზის გადაკეტვაზე. რას მოიფიქრებს პასუხად, ცოტა ძნელი სათქმელია, მაგრამ, რაც არ უნდა გვიპასუხოს, არა აქვს მნიშვნელობა, 20 ივნისს თავისუფალი ადამიანები აუცილებლად ჩაატარებენ აქციას.

– ანუ აქცია ნებისმიერ შემთხვევაში ჩატარდება, დაგთანხმდებათ კალაძე თუ არა?

– უარის შემთხვევაშიც აქცია ჩატარდება, იმიტომ, რომ კალაძისგან მობრძანდით, თქვენი ჭირიმეს არ ველოდებით ნამდვილად. კალაძეს, უბრალოდ, ვთხოვეთ დახმარება იმაში, რომ უფრო ორგანიზებულად გაგვეკეთებინა რეგულაციის შესრულების ეს პატარა საქმიანობები. ნიშნულებია იქ გასაკეთებელი, დისტანციის დასაცავი და ასე შემდეგ, პატარ-პატარა დეტალებია, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ და ძალიან გვინდა ეს. ამ ყველაფერში თუ დაგვეხმარებიან, გაცილებით სწრაფად გავაკეთებთ და ბევრად ეფექტური და უსაფრთხო იქნება.

– რამდენად მრავალრიცხოვანი იქნება 20 ივნისის აქცია?

– ცოტა რთულია რაოდენობაზე საუბარი. არ იქნება ადვილი. აქ სხვადასხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი, თუნდაც პანდემია და ის ძალიან ლეგიტიმური შიში, რომ არ მოხდეს გავრცელება, ერთი მხრივ, არ მოხდეს გადადება, ვიღაცას ექნება ამის შიში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ათეული ათასი ადამიანი, ალბათ, არ შეიკრიბება რუსთაველზე, მით უმეტეს – გადაკეტილსა და შემოღობილზე. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში საკმარისზე მეტად არის დაგროვილი პროტესტი ამდენი თვის განმავლობაში სახლში ჯდომისგან. ადამიანებს სახლში ჯდომის დროსაც უგროვდებოდათ ძალიან ბევრი პრობლემა და სოციალურ ფონზე აღარაფერს ვლაპარაკობ, როცა ვხედავთ, როგორ უჭირს ხალხს.

– სოციალური და ეკონომიკური კუთხით უმძიმესი სიტუაციაა...

– დიახ, ნამდვილად ასეა. საზოგადოებას ძალიან მძიმე სოციალური ფონი აქვს და, არ არის გამორიცხული, ამის გამოც შეიკრიბოს ხალხი რუსთაველზე.

– მხოლოდ ერთი ლოკაცია გაქვთ შერჩეული თუ სხვადასხვა ადგილას პატარ-პატარა აქციები გაიმართება?

– არა, იქნება ერთი მთავარი ლოკაცია და ამ აქციის ლოკაცია იქნება ზუსტად იმხელა, რამდენი ადამიანიც მოვა. ჩვენ ამაზე ვართ დამოკიდებული.

– ეს აქცია ერთდღიანი იქნება თუ ფიქრობთ, რომ პერმანენტულ ხასიათს მიიღებს?

– ჩვენ შარშან 20 ივნისსაც ერთდღიანი აქცია გავმართეთ, თუმცა მერე 10 თვე ვიდექით. მაშინ საერთოდ არ გვქონდა გათვლა, რომ ნადირობას დაიწყებდნენ ადამიანებზე, არც იმის მოლოდინი გვქონია, რომ გახარიას არ მოხსნიდნენ. შესაბამისად, წინასწარ „ქართული ოცნების“ ხელში ძალიან რთულია გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთება.

– ხელისუფლების განცხადებები საკმაოდ მკვეთრია. როგორ ფიქრობთ, თუ დასჭირდათ, შესაძლოა, დაგარბიონ კიდეც?

– მე მგონი, ახლა ამის პოლიტიკური ერთი ადგილი აღარ აქვთ, რომ კიდევ ერთი დარბევა გაბედონ ერთი წლის თავზე. ეჭვი მაქვს, ამას ფიზიკურად ვერ იზამენ, ხოლო თუ ამის ამოქმედება და სპეცრაზმის ჩართვა დასჭირდათ, მით უარესი მათთვის, კიდევ ერთიორად უფრო დასუსტებულები მივლენ არჩევნებზე.

– ანუ, პასუხი დადებითი იქნება თუ უარყოფითი, 20 ივნისის აქცია მაინც გაიმართება?

– დიახ, აქცია აუცილებლად გაიმართება! ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორია, თუ პანდემია რადიკალურად შემოტრიალდა, ჯვარი გვწერია და, თუ ძალიან მძიმე სიტუაცია დადგა და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რა თქმა უნდა, დავემორჩილებით. ჩვენ არ ვართ მიმართული სიტუაციის გაფუჭებისკენ. ერთადერთი შემთხვევა, რის გამოც, შესაძლოა, აქციას შეფერხებები შეექმნას, იქნება მხოლოდ და მხოლოდ პანდემია და გამკაცრებული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოგვიწევს.

– ოპოზიციური პარტიები და მათი ლიდერები რამდენად მონაწილეობენ ამ აქციაში?

– კი, ერთგვარად გამაერთიანებელი ფუნქცია ექნება ამ აქციას – ერთად ერთის წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი ლოზუნგი და ჩვენი სცენა მზად იქნება იმისთვის, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებსაც მივცეთ საშუალება, მიმართონ თავიანთ ამომრჩეველს. დღეს ქვეყანაში არის ძალიან მწვავე პოლიტიკური პროცესი. ვინ თუ არა მოქმედმა ოპოზიციამ უნდა ჩაანაცვლოს „ქართული ოცნება“. შესაბამისად, ოპოზიციასთანაც გვექნება მუდმივი კომუნიკაცია, იმიტომ, რომ საქართველოს სათავეში აღარასოდეს მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, როგორიც დღეს გვყავს.

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილს ფულის ქეშად დარიგებაც ვეღარ გამოუვა“

„მაჟორიტარობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს ავტორიტეტი, პოლიტიკური წონა და გამოცდილება. ამ ყველაფერს პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, „ქართული ოცნების“ წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიციის ერთობა დაიშალა, სერიოზული დაპირისპირებაა შიგნით, ერთიანი ფრონტით არჩევნებზე გასვლა გამორიცხულია. რას უპასუხებთ?

– როგორ დაიშალა ოპოზიციური ერთობა, როდესაც ის ფართოვდება. მაგალითად, მოძრაობას „ძალა ერთობაშია“ უკვე შემოუერთდა პარლამენტის დეპუტატი ნატო ჩხეიძე. ეს მაგალითიც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ არათუ დაპირისპირებაა, პირიქით, მოლაპარაკებები გვაქვს ერთმანეთთან.

– ოპოზიციის უფრო ფართო სპექტრი რეალურად რამდენად შეძლებს თბილისში ერთიანი კანდიდატების წარდგენას?

– საბოლოო გადაწყვეტილება, თუ როგორი არჩევნები ჩატარდება, დარჩება არსებული საარჩევნო სისტემა თუ შეიცვლება, მიღებული არ არის. 30 მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში არ არის იდეალური ვარიანტი. არც ერთი მაჟორიტარი, მთლიანად პროპორციული სია – ეს არის ის, რაც ჩვენ გვინდა. ეს არ გამოდის, მაგრამ საქართველო აუცილებლად გადავა სრულად პროპორციულ სისტემაზე.

რაც შეეხება თბილისის 8 მაჟორიტარულ ოლქს, აქ ოპოზიცია, პრაქტიკულად, შეთანხმებული კანდიდატებით გამოვა. თითქმის უკვე არსებობს შეთანხმება. თითქმისო, იმიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკაში არ ამბობენ – არასოდეს.

– გვარებს თუ ვერ გვეტყვით, ის მაინც გვითხარით, აქცენტი რაზე კეთდება, კანდიდატის ხალხში პოპულარობაზე თუ პოლიტიკურ წონასა და წარსულზე?

– თითქმის ყველაფერზე. ავტორიტეტს, პოლიტიკურ წონასა და გამოცდილებას პოლიტიკაში მნიშვნელობა აქვს. უეცრად აფეთქებული ხმა არ არსებობს. ახალბედა დიდ კონკურენციაში ვერ იმარჯვებს. ჩვენ ხომ ვიცით, რა კონკურენციაზეა საუბარი.

– რაც შეეხება რეგიონებს, აქ როგორ იქნება?

– დიახ, ახლა უკვე საუბარია 22 ოლქზე, რომლებიც რეგიონებშია განფენილი. დარწმუნებული ვარ, ოპოზიციას შეთანხმება რეგიონებშიც მოუწევს.

– შეთანხმება პირველსავე ტურში თუ მეორე ტურში, როგორც დავით ბერძენიშვილი ამბობს?

– პირველ ტურში შეთანხმება-კონკურენცია, მეორე ტურში კი – ბოლომდე შეთანხმება. უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე ტურები იქნება, ისეთი სისტემაა.

– შეიძლება, ყველაზე მეტად მეორე ტური ხელისუფლებას აძლევდეს ხელს და არა ოპოზიციას. როგორც 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში, როდესაც პროცესი მეორე ტურში გადაიყვანა და იქ დაამარცხა ოპოზიცია.

– ერთი ძალიან ბრძნული შეგონება უნდა გაგახსენოთ: ცოტას მოტყუება ბევრჯერ შეიძლება, ბევრის მოტყუება ბევრჯერ შეუძლებელია. 2016 წელს ეს გამოუვიდა ივანიშვილს, 2018 წელს ნახევრად გამოუვიდა. თვალებში სისხლჩამდგარი ბიძინა ივანიშვილი თითო ხმას იხვეწებოდა. ახლა, 2020 წელს, ეს უკვე ვეღარ გამოუვა. უკვე ფულის ქეშად დარიგებაც ვეღარ გამოუვა, ანუ ბევრის მოტყუება ბევრჯერ შეუძლებელია. ეს პოლიტიკის ანბანია.

– რატომ არ გამოუვა?

– იმიტომ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური რესურსი ამოწურა. ამ ხელისუფლებამ მთელი 8 წლის განმავლობაში ვერც ერთი დასავლელი პარტნიორი ვერ შეიძინა, მაგრამ აშკარაა რუსეთის მიმართულებით ლოიალურობა. არათუ გარეთ, ეს მან ვერც შინ მოახერხა. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პოლიტიკურ ძალას, ისეთსაც კი, როგორც ჩვენ გვიწოდებენ, ერთკაციან პარტიასაც კი, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ ღიად და საჯაროდ განაცხადებდა კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით. შიდაპარტნიორების მოძებნაც კი უჭირთ. ეს, პირველ რიგში, იმის ნიშანია, რომ ეს პოლიტიკური ძალა განწირულია დამარცხებისთვის. დამარცხებისთვის განწირულს კი არავინ ირჩევს.

2020 წლის არჩევნების შედეგად ჩვენ მივიღებთ სრულიად სხვა პარლამენტს. ეს იქნება მრავალფეროვანი, სრულიად განსხვავებული პარლამენტი და ეს ნამდვილად აისახება საქართველოს მოქალაქის უკეთეს მომავალზე.

– ბატონო მურმან, ეს არჩევნები, როგორც ძალიან რთული, ისეა შეფასებული. ძალიან რთული ბრძოლა მოგიწევთ. რას ელოდებით?

– ჩვენი მოქალაქეების ძალიან დიდ რაოდენობას საარჩევნო ყუთებთან. მე ველოდები, რომ ჩვენი მოქალაქეები ზუსტად იმ არჩევანს გააკეთებენ, რომელიც 2012 წელს გააკეთეს. მე არც ერთი წამით არ ვნანობ ამ არჩევანს.

– ხმების რევოლუციას ელოდებით?

– დიახ. ოქტომბრის არჩევნების შედეგად „ქართული ოცნება“ მიდის ხელისუფლებიდან და გადადის ოპოზიციაში ან საერთოდ ქრება პოლიტიკური ველიდან, როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ და სხვა პარტიები გაქრნენ. ეს არის მოცემულობა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ანზორ აბრალავა: „მომავალ პარლამენტში სიჭრელეს თითო-ოროლა პოლიტიკოსი წარმოქმნის“

„საქართველოში ნეოლიბერალებსა და რადიკალ კონსერვატორებს შორის დაპირისპირება მოსალოდნელი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

რა სიტუაციაა ქვეყანაში? არის თუ არა უპრეცედენტო ოპოზიციური ერთობა? რა ახალი ტენდენციები გამოიკვეთა მსოფლიოში კორონაკრიზისის შემდეგ? ვის რას არ აპატიებს სააკაშვილი? იქნება თუ არა ჭრელი მომავალი პარლამენტი? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– არჩევნებამდე ხუთ თვეზე ნაკლები დარჩა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს არჩევნები განსაკუთრებული იქნება იმითაც, რომ არსებობს უპრეცედენტო ოპოზიციური ერთობა. მისი წარმომადგენლები მმართველი პარტიის წინააღმდეგ ერთმანეთს უთანხმდებიან.

– თუ შეიძლება, ამ ოპოზიციურ ერთობას უპრეცედენტო ეწოდოს, ეს ერთადერთი ნიშნით მოხდება – მასში შევიდნენ ერთმანეთთან შეუთავსებელი, იდეოლოგიურად დაპირისპირებული ძალები. მათ რევოლუციებისა და გადატრიალებების მიმართაც სხვადასხვა დამოკიდებულება აქვთ. ისე, ბოლოდროინდელ რევოლუციურ მოწოდებებს, რომლებსაც მე ლენინის თეზისებს შევადარებდი, საჯაროდ თითქმის ყველა გაემიჯნა.

– რევოლუციური კომიტეტების შექმნაზე ყოფილმა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი არველაძემ ისაუბრა. მან არჩევნების უაზრობას გაუსვა ხაზი და ოპოზიციას ქალაქებსა და სოფლებში რევოლუციის მზადებისკენ მოუწოდა. მას პოლიტიკოსები ნაციონალური მოძრაობიდანაც გაემიჯნენ. ამას გულისხმობთ?

– სააკაშვილი მუდმივად ამზადებდა რევოლუციას. ადრე ამას ფარულად აკეთებდნენ, ახლა – უფრო აშკარად.

– ნაციონალური მოძრაობა ამას ყველაფერს ემიჯნება და მაინც აშკარა მზადებას ხედავთ?

– ნაციონალები აქ არიან და ასეთ განცხადებებს აკეთებენ. კაცმა არ იცის, რას იტყოდნენ ისინი, უკრაინაში რომ იყვნენ. სააკაშვილი კი მოწოდებებს არასდროს იშლიდა. რევოლუციების დრო დამთავრებულია. ისე, სააკაშვილი ყველას არ გაიკარებს და ყველას ყველაფერს არ აპატიებს. რაც უნდა რევოლუციის მომხრე იყოს, ყოფილი პრეზიდენტი არ მიიღებს თავის რიგებში გიგა ბოკერიასა და მის გარემოცვას, რომელიც მას განუდგა.

– ოპოზიციის დღის წესრიგში ბოლო დროს დადგა მომავალი ხელისუფლების პრემიერობის კანდიდატურის წამოყენების საკითხი. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია?

– ამაში არაფერი განსაკუთრებული არ არის. ყველაფერი დასაშვებია, რაც აკრძალული არაა. თანაც, კარგია, რომ ხალხს ინფორმაციას აწოდებენ. ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რას აპირებს ესა თუ ის გაერთიანება და პარტია. ხალხი ამის მიხედვით იმოქმედებს.

– კორონაკრიზისმა როგორ იმოქმედა ადამიანებსა და პროცესებზე?

– მსოფლიო დადგა ახალი რეალობის წინაშე. ყალიბდება სამი მძლავრი ცენტრი – აშშ, ჩინეთი და ევროკავშირი. ნეოლიბერალებმა (მათ შორის, ეკონომისტებმა) თავიანთ შეხედულებებს გადახედეს. მაგალითად, ნობელის პრემიის ლაურეატი სტიგლისი, ასევე კაცუმატო და სხვა ცნობილი მეცნიერები სხვა რელსებზე გადაეწყვნენ. მათ აღიარეს სახელმწიფოების როლის ზრდა. ადრე რეიგანი და მიტერანი ამბობდნენ, რომ უმდიდრესი ადამიანების უფრო მეტად გამდიდრება კარგია, ვინაიდან ამით გამდიდრდებიან ღარიბები. გავიდა წლები და ასე არ მოხდა – მდიდრების კეთილდღეობის ზრდას არ მოჰყოლია ღარიბების გამდიდრება. კორონაკრიზისმა ბევრი მკვლევარი დაარწმუნა, რომ ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს. მოვიდა სახელმწიფოს როლის გაზრდის დრო. ეს რეალობა ჩვენც უნდა გავიაზროთ და ჩვენი არჩევანი ამის მიხედვით გავაკეთოთ.

– არსებობს სხვა აზრი. ამ შეხედულებით, მომავალი ეკუთვნის გლობალურ კორპორაციებს. სახელმწიფოებზე მაღლა ისინი დადგნენ.

– ეს არის თვითონ ამ გლობალური კორპორაციების დასკვნა და სურვილები. ისინი ისევე მოქმედებენ, როგორც ეკოლოგიური ფაშისტები. მათ უკან დგანან ისინი, ვისაც ფული და ძალაუფლება უნდა. ამგვარი კორპორაციები აფინანსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში. არასამთავრობო ორგანიზაციებთან არიან დაკავშირებული პოლიტიკური პარტიები. აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი სახელმწიფოს როლის მომხრეა.

– საქართველოში არჩევნების წინ იქნება წამოწეული ეს თემები?

– კარგი იქნება, რომ იყოს მსჯელობა ყველა საჭირბოროტო საკითხზე, ახალ რეალობაზე. აუჩემებიათ, ახალი სახეებიო. ახალი სახეები არ არის მთავარი პოლიტიკაში. ახალი სახე ხშირად სისულელეს ამბობს. მთავარია იდეები.

– ულტრალიბერალებსა და რადიკალ კონსერვატორებს შორის თუ არის მოსალოდნელი დაპირისპირება საარჩევნოდ?

– არა მგონია, ამისათვის ნიადაგი არსებობდეს. ადამიანებს უნდათ სტაბილურობა, ნორმალური ცხოვრება, სამუშაო. მათ სჭირდებათ კონკურენტული გარემო და მონოპოლიების არარსებობა. კონფლიქტი არის ბიზნესსა და ბიუროკრატიას შორის. ბიზნესს მეტი თავისუფლება უნდა, ხელისუფლებას კი – მეტი გადასახადის ამოღება. პოლიტიკური სისტემები ამის მიხედვით ყალიბდება.

– იმ მოდელით, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, პარლამენტში პროპორციული წესით არჩეული 120 დეპუტატი იქნება. ეს ფაქტორი და საარჩევნო ბარიერის დაწევა ბევრს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი პარლამენტი ჭრელი და მრავალპარტიული იქნება.

– არა მგონია, ამან დიდი ძვრები მოახდინოს. გადანაწილდება ციფრები. ძირითადი მოთამაშეები ძველები იქნებიან. თითო-ოროლა პოლიტიკოსი მოხვდება სხვა პარტიებიდან. ისინი შექმნიან სიჭრელეს. მთავარია, ნგრევა და რყევა არ იყოს.

მამუკა გვაძაბია: „არ მაქვს იმედი, რომ ოპოზიცია მაჟორიტარობის საერთო კანდიდატებზე შეთანხმდება“

„საქართველოში საბჭოური, კლასიკური პოლიტიკური ტექნოლოგიებით მოქმედი რეჟიმია ჩამოყალიბებული“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია პასუხობს.

– ბატონო მამუკა, შალვა ნათელაშვილთან შეკრებილ ოპოზიციაში ვერ თანხმდებიან მაჟორიტარულ ოლქებში ერთიანი კანდიდატის დასახელებასთან დაკავშირებით. თქვენ თქვით, რომ სხვა მოლოდინი არ გქონდათ. რატომ?

– ოპოზიციაში, გარკვეულწილად, გადამლაშებული პოლიტიკური აჯაფსანდალი გამოვიდა. მე დღევანდელ ხელისუფლებას ვუპირისპირდები, ვცდილობ, ჩემი შესაძლებლობების, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსების გამოყენებით ვამხილო პრორუსულ განწყობებში, თუ ამას დავინახავ. ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი პიროვნულად ჩემი მტერი არ არის. ჩემი ხედვიდან და იდეოლოგიური მისწრაფებებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯი არასახელმწიფოებრივია.

– ოპოზიციის?

– თუ იმავეს დავინახავ ოპოზიციაში, იგივე შეფასებები მექნება. ბურჯანაძე პრორუსული განწყობის არის და ამას არც მალავს. გამოდის, ამ ოპოზიციამ ბურჯანაძის პრორუსულ ძალასთან ხელისუფლება უნდა გადაინაწილოს. რატომ არ უნდა მქონდეს მოლოდინი იმისა, რომ აქ ყველაფერი კარგად იქნება ან ყველაფერი კარგად არის.

– რა, გრიგოლ ვაშაძე პრორუსული არ არის თავისი წარსულითა და აწმყოთი? საპრეზიდენტო არჩევნებზე რუსი პიარტექნოლოგების ჯგუფი ჩამოყვანა.

– მეც ვიცნობ პიარის კარგ სპეციალისტ რუსებს, რომლებიც პროდასავლური ორიენტაციის არიან, პუტინს არ ემხრობიან და მოსკოვში ცხოვრობენ. შესაძლებლობა რომ მქონდეს, მე მათ სიამოვნებით დავიქირავებდი ჩემი პიარისთვის.

– კარგი გამართლებაა.

– ეს არ ვნებს ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის კონსოლიდაციას. ოპოზიციაში პრორუსული განწყობების პარტიების ყოფნა, მათი ლიდერების მოსკოვში სიარული ვნებს ამომრჩევლის კონსოლიდაციას. ამიტომ არ მაქვს იმედი, რომ გაერთიანებულ ოპოზიციაში მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატებზე ბოლომდე შეთანხმდებიან.

– მე მგონი, ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ნათელაშვილის ოფისში შეკრებილი ოპოზიციის დავალებით წავიდა. ფიქრობდნენ, შეიძლებოდა, რევოლუცია მომხდარიყო და უნდოდათ, რუსეთისაგან მიეღოთ გარანტია, რომ რევოლუციის შემთხვევაში ისინი არ ჩაერეოდნენ. ამავდროულად, ხოშტარია, დეკანოსიძე და სამადაშვილი ამერიკაში გაუშვეს.

– ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია, ეს არის საგანგაშო. ვარდების რევოლუციის სამი გმირიდან (ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი) ყველაზე მეტად რუსული ორიენტაციის იყო ნინო ბურჯანაძე. რუსეთი ნინო ბურჯანაძის მეშვეობით ენდო რევოლუციის თავკაცებს, რომ რუსის ჯარს დატოვებდნენ საქართველოში, ჯარის გაყვანას არ მოითხოვდნენ. ახლაც ამ თვალსაზრისით ნინო ბურჯანაძეს თუ იყენებენ, არ ვიცი.

– 2003 წელს ივანოვი არ იყო ჩამოსული და მისი მეშვეობით არ მოვიდნენ ხელისუფლებაში?

– გასაგებია, ივანოვი იყო ჩამოსული, მაგრამ, რამდენადაც მაქვს ინფორმაცია (სერიოზულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეუბნებით), ამ სიტუაციაში რუსეთის მთავარი მოკავშირე ნინო ბურჯანაძე იყო.

– სააკაშვილის ბიძა, ალასანია, არ იყო სააკაშვილის რუსეთთან დამაკავშირებელი? თქვენ იცით ის ფოტო, სადაც პუტინისა და სააკაშვილის არაოფიციალური შეხვედრაა აღბეჭდილი და მათ ფონზე მოშორებით თემურ ალასანია ჩანს. ვფიქრობ, ალასანიას მეშვეობით რუსეთი საქართველოს აკონტროლებდა. იმდროინდელი ხელისუფლების არაერთმა წარმომადგენელმა მითხრა, რომ სააკაშვილის დროს ალასანია უშიშროების საბჭოს სხდომებსაც კი ესწრებოდა.

– ამაზე მე არ მაქვს ინფორმაცია. არაერთხელ გამიკეთებია კრიტიკული განცხადება სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც და მათ არ მოვრიდებივარ. როცა რაღაცას ვამბობ, ჩემი ინფორმაცია უნდა მქონდეს. მე არ შემიძლია, სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას პრორუსობა დავაბრალო. ამას გამოვრიცხავ. ვინმე ყოფილი თუა, იმასაც გამოვრიცხავ, რომ ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

დღევანდელ ვითარებაში შეშფოთებული ვარ იმით, რომ ოპოზიციაში პრორუსული ძალა ზის. მომავალში პრორუსული ძალის მონაწილეობით შეიძლება კოალიციური მთავრობა შეიქმნას და მივიღოთ ხელისუფლება პრორუსული ელემენტებით. ეს არის ჩემი შეშფოთების საგანი.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა მელიამ რამდენიმე პიროვნება დაასახელა. მართლაც, ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ისეთი აჯაფსანდალია, მათი ერთად ყოფნა, თუნდაც ერთის წინააღმდეგ, ერთობა ერთობისთვის, ჩემთვის მიუღებელია. უბრალოდ, არ მესმის. ვინც შიგნით არის, შეიძლება, მათ ესმოდეთ, მაგრამ ხალხს, საზოგადოებას არ ესმის.

ვისაც ჰგონია, რომ ამ ნაბიჯებით უფრო მეტ ამომრჩეველს შეიძენს, მწარედ ცდება. ამგვარი ერთიანობით საზოგადოების გამოკვება უკიდურესად კონტრპროდუქტიულია.

– თქვენს პოსტში გაჟღერდა ფორმულა „ყველა მინუს ერთი“. 30 წელია, ამ ფორმულით მოქმედებამ სასიკეთო არაფერი მოიტანა. ხომ იცით, ეს ფორმულა ზვიადის დროიდან მოქმედებს. გინდათ, ოპოზიციამ ამ ფორმულით იმოქმედოს?

– ჩემი შეხედულებით, საქართველოში ისეთი რეჟიმია ჩამოყალიბებული, საბჭოური, კლასიკური პოლიტიკური ტექნოლოგიებით მოქმედი. შეიძლება, ზოგიერთივით გაპიარებული არ ვარ, მაგრამ ბოლო 30 წელია, არც ერთ სერიოზულ პოლიტიკურ პროცესს არ გამოვკლებივარ, უცხოეთშიც გახლდით, მეტ-ნაკლებად ყველაფრის გაანალიზება შემიძლია.

– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიციაში კარგად არის გამოკვეთილი ფლაგმანი პოლიტიკური ძალა, რომელსაც პოლიტიკური ბრძოლის სერიოზული გამოცდილება აქვს. ალბათ, ნაციონალებსა და ევრონაცებს გულისხმობთ.

– დიახ.

– ნაცებსა და ევრონაცებს დადებითი გამოცდილება აქვთ, რაც ამომრჩეველს მიიზიდავს?

– ჩვენ უნდა ვიყოთ ობიექტურები – ბოლო არჩევნებისა და საპრეზიდენტო არჩევნების დროს ნაცმოძრაობამ მიიღო 800 ათასი ხმა. ეს სერიოზული მაჩვენებელია. თუ ნაცმოძრაობას არ უნდა, ამომრჩეველი დაკარგოს, მაშინ ამ აჯაფსანდალში არ უნდა შეყოს თავი.

ვიცი ნაცმოძრაობის როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი. როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მათ კრიტიკას არ მოვრიდებივარ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაცმოძრაობა პროდასავლური პოლიტიკური ძალაა. მხოლოდ და მხოლოდ აქედან გამომდინარე ვამბობ ამას. მათ პროგრესულობა-არაპროგრესულობას აქედან გამომდინარე ვაფასებ.

მოხარული ვიქნები, თუ არსებული რეჟიმი ხელისუფლებას ჩამოშორება, მაგრამ, ოდნავ პრორუსულ მაქინაციებში გასვრილი ძალა თუ მოვა ხელისუფლებაში, ჩემთვის ეს კატეგორიულად მიუღებელია. მხოლოდ რიტორიკა, მე დასავლეთის მომხრე ვარო, არ კმარა. მკვეთრი ნაბიჯები უნდა გადადგას ანტისაოკუპაციო მიმართულებით, უნდა იბრძოლოს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისთვის.

სამწუხაროა, რომ დღეს არც ერთ პოლიტიკურ ძალას საქართველოს დეოკუპაციის იდეოლოგიური უზრუნველყოფის მიმართულებით სერიოზული პროგრამა არა აქვს.

– მახსოვს, ამბობდით, რომ ნაცების ხელისუფლებას თქვენი პროგრამა შესთავაზეთ, მოისმინეს, მაგრამ ვერ შეისმინეს. ამ პროცესში დეოკუპაციის პროგრამაც მნიშვნელოვანია.

– მე ვარ ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი. რომც არ ვიყო იძულებით გადაადგილებული, ჩემი მსოფლმხედველობა მაინც ამას მიკარნახებდა, ვინაიდან ოკუპირებული აფხაზეთიდან ეს ჩემს ტკივილს, განცდებს აასმაგებს.

2008 წლის ომამდე სხვაგვარი სიტუაცია იყო, არ იყო გამორიცხული აფხაზების თბილისში ჩამოყვანა. წარმომადგენლობითი შეთავაზებები მქონდა. ეს შეთავაზებები არასამთავრობოებიდან იყო, მაგრამ მე ვერ გავიტანე. ეტყობა, მაშინდელ ხელისუფლებაში ჩემი წინადადებები არასერიოზულად აღიქვეს ან სერიოზულად აღიქვეს და ყურადღება არ მიაქციეს. ეს ჩემი არხებით ვერანაირად ვერ გადავამწმე.

ახლა იმიტომ ყალიბდება ოპოზიცია, ოლიგარქი იმიტომ უნდა ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას, რომ პრორუსული ან პრორუსულთან გათამაშებული ძალა მოვიდეს ხელისუფლებაში? ეს ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ ფრთაშიც ხედავთ შავ ხვრელებს და ელექტორალური სეგმენტის აუთვისებლობაზე მიანიშნებთ. რას გულისხმობთ?

– დევნილი მოსახლეობის სეგმენტი მაქვს მხედველობაში. დევნილ მოსახლეობას, მათ შორის ნაცმოძრაობა, ელაპარაკება მხოლოდ სოციალურ პრობლემებზე. არადა, ხომ შეიძლება, დევნილ მოსახლეობას ელაპარაკო, რა გეგმები გაქვს ტერიტორიების დეოკუპაციასთან დაკავშირებით, რა ხდება აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმურ ხელისუფლებაში.

დასკვნა ის არის, რომ ოპოზიციისთვის მითიური ერთიანობა და აჯაფსანდალი კონტრპროდუქტიულია. პრორუსულ ძალასთან ერთიანობა არ შეიძლება. არც ნინოა ჩემი მტერი. მას თავისი ორიენტაცია და მსოფლმხედველობა აქვს, მიაჩნია, რომ საქართველო ნატოს წევრი არ უნდა იყოს, რუსეთთან კავშირები უნდა აღდგეს და ისევ დსთ-ში უნდა დავბრუნდეთ, რაც ჩემთვის სრულიად მიუღებელია.

800 ათასი ხმა თუ ჰქონდა, ასეთი მიდგომა ოპოზიციას ხმებს დაუკარგავს. თუ არ მოხდა რუსულ ძალასთან დისტანცირება და გაიმარჯვეს, ვაი იმ გამარჯვებას, პრორუსული ძალა იქნება მთავრობაში. ასეთი გამარჯვება რად გვინდა. არც ოლიგარქია ჩემი პირადი მტერი და არც მისი ნებისმიერი მინისტრი.

„ოცნების“ დეპუტატ გიორგი ჭინჭარაულს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდება წარედგინა

სოფელ გამარჯვებაში მომხდარი ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გიორგი ჭინჭარაულს ბრალდება წარედგინა.

გიორგი ჭინჭარაული სოფელ გამარჯვების საკრებულოს დეპუტატია „ქართული ოცნებიდან“.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სიღნაღის რაიონულმა პროკურატურამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში მომხდარი დამამძიმებელ გარემოებებში ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გ.ჭ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დედოფლისწყაროს შს სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დგინდება, რომ 2020 წლის 7 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში გ.ჭ.-ს მისივე თანასოფლელებთან, ძმებთან გ.ჭ.-სთან და მ.ჭ-სთან შელაპარაკება მოუხდა, რაც ჩხუბში გადაიზარდა.

აღნიშნულის შემდეგ გ.ჭ.-მ შემთხვევის ადგილი დატოვა, თუმცა მოგვიანებით, მომხდარის შედეგად განაწყენებულმა, შურისძიების მიზნით გ.ჭ.-ს და მ.ჭ-ს დაუწყო ძებნა, რის შემდეგაც მათ შორის კვლავ მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რა დროსაც გ.ჭ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით, დანით გ.ჭ.-ს და მ.ჭ-ს გულმკერდისა და მუცლის არეში სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის მრავლობითი დაზიანებები მიაყენა.

სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება. გ.ჭ.-სთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ მიმართა სასამართლოს გ.ჭ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით.

ნელი დოროყაშვილის მიმართ ბასილაშვილების ექვსივე შემაკავებელი ორდერი ძალაში დარჩა

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკოლოზ ბასილაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილა. ბასილაშვილის მხარე მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერების გაუქმებას ითხოვდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ნელი დოროყაშვილისა და მისი არასრულწლოვანი შვილის დასაცავად გამოცემული ექვსივე შემაკავებელი ორდერი ძალაში დარჩა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ თქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გამოცემული ყველა ექვსივე ორდერი ძალაში უნდა დარჩეს იმიტომ, რომ ის არის კანონიერი, ის ეხებოდა სამართლიან საფუძვლებს, რაც ნიშნავს, რომ ძალადობა ოჯახში ჩადენილია კონკრეტულად ნიკოლოზ ბასილაშვილის მხრიდან და მისი მშობლების მხრიდან, – განაცხადა ნელი დოროყაშვილის ადვოკატმა ანა აბაშიძემ.

გორში ლ.ა.-მ დანით ხელში დაჭრა გ.ვ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ლ.ა., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით ხელის არეში დაზიანება მიაყენა 1987 წელს დაბადებულ გ.ვ.-ს, რომელიც სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღები – 2 დანა – ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ჰოლანდიაში ქართველ მამაკაცს 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩნდა

ნიდერლანდების მედიის ცნობით, ეინდჰოვენში დაკავებულია ქართველი მამაკაცი, რომელსაც 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩნდა. დაკავებული თანხის წარმომავლობას არ ასახელებს.

მედიის ცნობით, დაკავებული მამაკაცის ადვოკატი აცხადებს, რომ 35 წლის მამაკაცი უსახლკაროა.

პოლიციის ცნობით, მამაკაცი 1 მაისს დაკავეს, როდესაც სამართალდამცავებმა ეინდჰოვენის ერთ-ერთ სახლში 12,5 მილიონი ევრო აღმოაჩინეს.

დაკავებულს ბრალად ფულის გათეთრება ედება.

მედიის ცნობით, ჩხრეკისას პოლიციამ ასევე ამოიღო ორი ცეცხლსასროლი იარაღი, ამუნიცია და ფულის სათვლელი აპარატი.

სოფო კილაძის ყოფილ ქმარს, ავთანდილ ხარაძეს, 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა



პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძის ყოფილ ქმარს, ავთანდილ ხარაძეს, პატიმრობა შეეფარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადეს, აღკვეთის ღონისძიების საკითხზე მოსამართლე დავით კურტანიძემ 4 ივნისს იმსჯელა და ავთანდილ ხარაძეს 2-თვიანი პატიმრობა შეეფარდა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 30 ივლისს, 12:00 საათზე გაიმართება.

ავთანდილ ხარაძის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა შემაკავებელი ორდერი დაარღვია, კილაძის სახლში ბავშვის სანახავად მივიდა, სახლის დატოვება კი კომენდანტის საათის მიზეზით ვერ შეძლო.

როგორც ადვოკატმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ხარაძემ სახლი მას შემდეგ დატოვა, რაც კილაძემ პოლიცია გამოიძახა.

– ედავებიან შემაკავებელი ორდერის დარღვევას. სოფო კილაძის სახლში მივიდა ბავშვის სანახავად, თვითონ მეუღლე არ დახვდა სახლში, შემდეგ მოვიდა და სთხოვდა, რომ დაეტოვებინა სახლი. მან არ დატოვა სახლი, ვინაიდან კომენდანტის საათი იყო დაწყებული და ამის გამო ამბობდა, არ წავალო. შემდეგ მოხდა პოლიციის გამოძახება.

ბავშვის ნახვის უფლება ჰქონდა, ოღონდ ძიძას ჩაჰყავდა ხოლმე ბავშვი მასთან. ის შეთანხმების გარეშე მივიდა კილაძის სახლში. აღიარებს, რომ დაარღვია შემაკავებელი ორდერი. გასაჩივრებული მაქვს სააპელაციო სასამართლოში და ველოდები პასუხს. 17 მაისს მოხდა ფაქტი და დაკავეს 3 ივნისს, სასამართლოს განჩინების საფუძველზე. პოლიცია გამოიძახა და მერე თავისთავად წავიდა სახლიდან, – განაცხადა ადვოკატმა.

სოფო კილაძე ყოფილ მეუღლეს ფსიქოლოგიურ ძალადობაში ადანაშაულებდა, თუმცა ავთანდილ ხარაძე „ინტერპრესნიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში კატეგორიულად გამორიცხავდა ყოფილ მეუღლეზე როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ძალადობას.

საბერძნეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

მას 13 ავღანელი მიგრანტი გადაჰყავდა

ბერძნული მედიის ინფორმაციით, თესალონიკში პოლიციამ დააკავა საქართველოს 36 წლის მოქალაქე, რომელსაც მიგრანტები გადაჰყავდა.

როგორც იუწყებიან, უცხო ქვეყნის მოქალაქეების არალეგალურ გადაყვანაში ბრალდებული მამაკაცი. საიმიგრაციო სამსახურმა და პოლიციამ ერთობლივად ჩატარებული ოპერაციის შედეგად აიყვანეს.

მას ასევე ადანაშაულებენ სამართალდამცველებისადმი დაუმორჩილებლობაში, წინააღმდეგობის გაწევაში, თაღლითობასა და საგზაო წესების დარღვევაში.

დაკავებულს მართვის მოწმობა საერთოდ არ აღმოაჩნდა.

როგორც ბერძნული მედია წერს, როდესაც პოლიცია მანქანის გაჩერებას შეეცადა, საქართველოს მოქალაქემ სიჩქარეს მოუმატა და გაქცევის დროს ავტოსატრანსპორტო საშუალება გზიდან გადავარდა.

დაკავებისას მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია.

ავტომანქანაში აღმოჩენილია 13 ავღანელი მიგრანტი, რომელთაც საბერძნეთში დარჩენის უფლება არ ჰქონდათ და დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდათ.

ავტომობილს ყალბი სანომრე ნიშნები ჰქონდა.

ამოღებულია სამი მობილური ტელეფონი და ფული, რომელიც დაკავებულს ჩამოართვეს.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, თესალონიკის არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის განყოფილებამ საქართველოს საკონსულოს საქართველოს მოქალაქის დაკავების ფაქტი დაუდასტურა.

მიმდინარეობს გამოძიება.

შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ. დააკავეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა სამსახურებრივი მდგომარეობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე სასამართლოს განჩინების საფუძველზე შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ. დაკავეს.

უწყების ინფორმაციით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება და მ.კ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების, საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის მიერ ხულოს მუნიციპალიტეტში „ხიხაძირი-თხილვანა-ბაკოს“ საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ორბიტას“ დირექტორმა მ.კ.-მ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას წარადგინა ხელშეკრულების შესრულებისა და საავანსო გადახდის უზრუნველყოფის ყალბი საბანკო გარანტიები, რის საფუძველზეც შპს „ორბიტას“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა ავანსის თანხა 188.000 ლარი, საიდანაც მხოლოდ 43.535 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა, ხოლო ავანსის დარჩენილი თანხა – 144.465 ლარი, შპს „ორბიტას“ დირექტორმა მ.კ.-მ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

სამტრედიაში დააკავეს მამაკაცი, რომელიც ტაქსში ცოლს მოკვლით დაემუქრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სამტრედიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1972 წელს დაბადებული ი.დ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 3 ივნისს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მამაკაცმა ქალაქ სამტრედიაში ტაქსით მგზავრობის დროს მეუღლეს – 1998 წელს დაბადებულ ქ.თ.-ს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა და ცივი იარაღით ხელზე მსუბუქი დაზიანებები მიაყენა. მას შემდეგ, რაც აგრესიული მამაკაცი ავტომანქანიდან გადავიდა, დაზარალებული ქალი პოლიციას დაუკავშირდა და დახმარება ითხოვა.

„სამართალდამცველებმა ი.დ. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მომხდარიდან რამდენიმე საათში, სამტრედიაში იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ქვეითად გადაადგილდებოდა. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო გასაშლელი დანა. მას ბრალი მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობასა და მუქარაში ედება. დანაშაული 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობასა და ოჯახის წევრის მიმართ მუქარას გულისხმობს,“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 1 პირი ამხილა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე ერთი პირი ამხილეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც აჭარის რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი კომპანიის ფაქტობრივ ხელმძღვანელს წარმოადგენდა, დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით, ხის მასალის რეალიზაციასთან დაკავშირებულ სასაქონლო ზედნადებებში შეიტანა ხე-ტყის წარმოშობისა და ფირნიშის ყალბი მონაცემები, რითაც სამოქალაქო ბრუნვაში მოაქცია უკანონოდ მოპოვებული დაახლოებით 127.530 ლარის ღირებულების მასალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 194-ე მუხლის მესამე ნაწილებით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 9-დან 12-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ყვარელში 2 პირს უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა აღმოუჩინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1964 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.თ. და 1972 წელს დაბადებული ი.ს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

პოლიციამ ყვარელში, დაკავებულების საცხოვრებელ სახლებში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდები, საბრძოლო ვაზნები, 1 მცირეკალიბრიანი შაშხანა და 2 სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფლოიდის მკვლელობაში ბრალდებულ შოვინს 1,25 მილიონის გირაო შეეფარდა

ჯორჯ ფლოიდის მკვლელობაში ბრალდებულ პოლიციელს სასამართლომ გირაო, 1,25 მილიონი დოლარი შეუფარდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო, რომლის წინაშეც 44 წლის დერეკ შოვინი დისტანციურ რეჟიმში წარდგა. 15-წუთიანი მოსმენის დროს მას არ უსაუბრია. შოვინს ბორკილები ედო და ნარინჯისფერი ფორმა ეცვა. ამჟამად დერეკ შოვინი მინესოტის სახელმწიფო სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია მოთავსებული. მის საქმეზე შემდეგი მოსმენა 29 ივნისს ჩაინიშნა.

მანამდე ბრალდებულს გირაოს სახით ერთი მილიონის გადახდა დააკისრეს, თუმცა მერე სასამართლომ თანხის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო, რის მიზეზადაც შოვინის მიმართ წარდგენილი ბრალის სიმძიმე და საზოგადოების აღშფოთება დაასახელა.

დერეკ შოვინს ბრალი სამი მუხლით აქვს წარდგენილი. მათ შორის არის მეორე ხარისხის მკვლელობა. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას 10-დან 40 წლამდე პატიმრობას ელოდება.

მინეაპოლისის პოლიციის თანამშრომელმა 25 მაისს ყალბი 20-დოლარიანი კუპიურის გამოყენებაში ეჭვმიტანილი აფრო-ამერიკელი ჯორჯ ფლოიდის დაკავების დროს ძალა გამოიყენა – მან ფლოიდს კისერზე მუხლი რამდენიმე წუთის განმავლობაში დააბჯინა.

ამის შედეგად ფლოიდი გარდაიცვალა.

პოლონეთის პოლიციამ 3 ტონაზე მეტი კოკაინი ამოიღო



პოლონეთის პოლიციამ სამ ტონაზე მეტი კოკაინი ამოიღო, რომელიც გაყინული ანანასის კასრებში იყო დამალული. ნარკოტიკული საშუალების საერთო ღირებულება 760 მილიონ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც პოლონეთისთვის რეკორდულია.

პოლიციის ინფორმაციით, ტვირთი ჩრდილოეთით მდებარე საპორტო ქალაქ გდინიაში იყო დასაწყობებული.

კოკაინი გემით ეკვადორიდან ჰამბურგში გადაჰქონდათ.

სამართალდამცველებმა გამოძიების შედეგად სამი მამაკაცი დააკავეს, რომელთა ასაკიც 64-დან 71 წლამდეა.

ნარკოტიკებთან ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, კორონავირუსის გამო მიწოდების ქსელში შექმნილი პრობლემების მიუხედავად, როგორც ჩანს, ლათინოამერიკელი ნარკომოვაჭრეები ევროპაში კოკაინის მსხვილი პარტიების გაგზავნას მაინც ახერხებენ.

ბურუნდის პრეზიდენტი გულის შეტევით გარდაიცვალა



ბურუნდის პრეზიდენტი პიერ ნკურუნზიზა 55 წლის ასაკში გულის შეტევით გარდაიცვალა.

პრეზიდენტი პიერ ნკურუნზიზა კვირას საავადმყოფოში მას შემდეგ გადაიყვანეს, რაც მან თავი შეუძლოდ იგრძნო.

პიერ ნკურუნზიზა ქვეყანას 15 წლის განმავლობაში მართავდა. ის მიმდინარე წლის აგვისტოში გადადგომას აპირებდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მრავალშვილიანმა მამამ ინვალიდი ცოცხლად დაწვას გადაარჩინა

შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში მრავალშვილიანმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ინვალიდი ცოცხლად დაწვას გადაარჩინა.

საწყობში ხანძარი საღამოს საათებში მოხდა. აალების მომენტისთვის 32 წლის კაილ მაკენდრიუ შვილებთან კაემთან და კაიდენთან ერთად იქვე ახლოს იმყოფებოდა. მან შავი ბოლი და გაქცეული მოზარდების ჯგუფი შენიშნა. ახლოს მისულს შიგნიდან განწირული ძახილი მოესმა, რომელიც შველას ითხოვდა.

საწყობში თავს აფარებდა დაახლოებით 20-30 წლის უსახლკარო ინვალიდი. ის ხანძრის გამო ხაფანგში აღმოჩნდა. მაკენდრიუ შიგნით შევარდა და ინვალიდი იქიდან სახანძრო დახმარების მოსვლამდე გამოიყვანა. ბრიტანელის გმირული საქციელი ვიდეოზე იქნა გადაღებული და სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

შემთხვევის ადგილზე პოლიცია მივიდა და მომხდარის გამოძიება დაიწყო. წინასწარი ვერსიით, ცეცხლის განზრახ წაკიდებას ჰქონდა ადგილი. საბედნიეროდ, ინციდენტის შედეგად არავინ დაზიანებულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ალექსანდრე ყაზბეგის მუზეუმის რეაბილიტაცია 4 მილიონ ლარს აღემატება



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დაბა სტეფანწმინდაში, მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსში შემავალი სამი შენობის – ისტორიული მუზეუმის შენობის, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმისა და ნიკოლოზ ყაზბეგის, ალექსანდრე ყაზბეგის ბიძის სახლის რეაბილიტაციას ახორციელებს.

მიმდინარე სამუშაოებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე ზაგაშვილი მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულ შალვა კერესელიძესთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელ ნიკოლოზ ანთიძესთან, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორ გიორგი შენგელიასთან, მერის პირველ მოადგილე თამაზ ალიბეგაშვილთან, სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარს აღემატება და ითვალისწინებს სამუზეუმო კომპლექსის სრულ რეაბილიტაცია-რესტავრაციასა და ახალი კორპუსის სრულ რეაბილიტაციას, სადაც განთავსდება მუზეუმის ადმინისტრაცია და ვიზიტორთა ცენტრი.

პროექტი ასევე გულისხმობს ტერიტორიის კეთილმოწყობას, კომუნიკაციებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობას.

პრინცმა უილიამმა პრინც ჰარის სახლში დაბრუნება სთხოვა

ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემის მიერ ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცმა უილიამმა თავის ძმას პრინც ჰარის, დიდ ბრიტანეთში დაბრუნება სთხოვა.

აღსანიშნავია, რომ სამეფო ოჯახი ძალიან შეწუხებულია სასექსის ჰერცოგის უსაფრთხოების დაცვით, რისი მიზეზიც ის არის, რომ აშშ მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა, რომელიც შავკანიანი მამაკაცის ჯორჯ ფლოიდის დაღუპვით არის გამოწვეული.

გარდა ამისა, ინფორმირებული წყაროს ცნობით, მეგან მარკლსა და პრინც ჰარის ფინანსური პრობლემებიც შეექმნათ. სამეფო პრივილეგიებზე უარის თქმის შემდეგ მათ დღემდე ვერ მოახერხეს მაღალანაზღაურებადი ღირსეული სამსახურის პოვნა, რომელიც მათ მაღალ ხარჯებს დაფარავდა. ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა კორონავირუსის პანდემიამ.

პრინცმა უილიამმა თავის უმცროს ძმას სახლში დაბრუნება შესთავაზა, სადაც ის ჩვეულ უსაფრთხო და უზრუნველყოფილ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, – აღნიშნა ინფორმირებულმა წყარომ.

პედოფილი გადაგდებული დამცავი ნიღბის წყალობით დაიჭირეს

კალიფორნიაში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც პედოფილიაშია ეჭვმიტანილი. ამის გაკეთება მის მიერ გადაგდებული სამედიცინო დამცავი ნიღბის წყალობით მოხერხდა.

28 წლის ლეონარდო რამირესი ორშაბათს ძალის გამოყენებით ბავშვის გაუპატიურების ბრალდებით დააპატიმრეს. თუმცა თავდაპირველად მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში სულ სხვა საბაბით მიიწვიეს.

როდესაც მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში შევიდა, მას სთხოვეს, ახალი სამედიცინო ნიღაბი გაეკეთებინა კორონავირუსის ინფექციის გავრცელების პროფილაქტიკის მიზნით. მან დაუჯერა სამართალდამცავებს, ძველი ნიღაბი მოიხსნა და ნაგვის ურნაში ჩააგდო, რის შემდეგაც ის ექსპერტიზაზე გადააგზავნეს.

გაირკვა, რომ არასრულწლოვანზე, რომელიც ორი წლის წინ გახდა ძალადობის მსხვერპლი, დარჩენილი იყო დამნაშავის დნმ-ს ნიმუშები. რამირესის ნიღბიდან აღებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ სწორედ მან იძალადა ბავშვზე.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რამირესმა დანაშაული უკვე აღიარა.

მამაკაცმა 40 წლის თამაშის შემდეგ ჯეკპოტი მოხსნა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ როკგემპტონის მკვიდრმა ჯეკპოტი, 300 ათას ავსტრალიურ დოლარზე მეტი, მოხსნა.ჭმან ბილეთში ის რიცხვები ჩაწერა, რომლითაც 40 წლის განმავლობაში თამაშობდა.

ავსტრალიელმა, რომლის ვინაობა არ სახელდება, ლატარიის ბილეთი 30 მაისს შეიძინა. მან მასში იგივე რიცხვების კომბინაცია ჩაწერა, რომელსაც ოთხი ათეული წლის განმავლობაში იყენებდა.

– ამ მომენტს მრავალი წელი ველოდი. ეს უბრალოდ საოცრებაა. უზომოდ ბედნიერი ვარ! – განაცხადა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა. მისი თქმით, ის და მისი მეუღლე ახლახან გავიდნენ პენსიაზე.

– ჩვენ ალბათ სახლის ყიდვაზე დავფიქრდებით, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდით. ხოლო როდესაც ცხოვრების ნორმალური პირობები აღდგება, ჩვენ სამოგზაუროდ წასვლას ვაპირებთ, – დაასკვნა ავსტრალიელმა.

მეთევზეებმა შემთხვევით გადაშენებული ხარის უზარმაზარი რქა იპოვეს

უელისის მონმუტშირის საგრაფოს სოფელ სადბრუკის მახლობლად მეთევზე ძმებმა გადაშენებული ხარის – ტურის 70-სანტიმეტრიანი რქა იპოვეს.

ძმები მარტინ და რიჩარდ მორგანები მდინარე სევერნის შესართავს იკვლევდნენ, როდესაც ზღვის მიქცევის დროს ტურის რქა აღმოაჩინეს. ამ სახეობის ცხოველი ბრიტანეთის კუნძულებზე 3,5 ათასი წლის წინ ბინადრობდა.

– ეს უზარმაზარი რქა დაახლოებით ერთი კვირის წინ უჩვეულო ქარიშხლის შემდეგ ვიპოვეთ. ჩვენ ჩვეულებრივ სანაპიროზე ჩაძირული ხომალდების ნამსხვრევებს ვპოულობთ და უკვე თვალიც გავარჯიშებული გვაქვს უჩვეულო საგნების შემჩნევაზე, – განაცხადა 59 წლის მარტინმა.

თავდაპირველად ძმებმა იფიქრეს, რომ ის ხის ნაჭერი იყო, ხოლო როდესაც ახლოს მივიდნენ, მიხვდნენ, რომ ძვალი იყო. მათ რქა ქვიშიდან ფრთხილად ამოიღეს, საკუთარ ნავში ჩადეს, ფოტოსურათი გადაუღეს და სოციალურ ქსელში გამოაქვეყნეს.

რედინგის უნივერსიტეტის პროფესორმა მარტინ ბელმა ფოტოსურათის ნახვის შემდეგ დაადასტურა, რომ ის ტურს ეკუთვნოდა. მას იმედი აქვს, რომ სათანადო ანალიზების ჩატარების შემდეგ მისი ასაკის დადგენას შეძლებენ. წინასწარმა ანალიზმა კი აჩვენა, რომ მისი ასაკი შესაძლოა ხუთი ათას წელს აღემატებოდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მიხეილ ზაქარიაშვილს ფორტეპიანო აჩუქეს

მომღერალსა და კომპოზიტორს მიხეილ ზაქარიაშვილს ფორტეპიანო აჩუქეს:

– იშვიათად ვითხოვ რამეს ადამიანებისგან. ერთხელ ლეკვი მაჩუქეს. ახლა დავწერე, პიანინო არ მაქვს-მეთქი და იქნებ მომყიდოთ ვინმემ? ჩემდა გასახარად, უამრავი ადამიანი გამომეხმაურა და ცოტა ნაწყენებმაც კი მითხრეს, ,,არ გრცხვენიათ, ბატონო მიშა, მე თქვენ პიანინო როგორ უნდა მოგყიდოთ?“

მოკლედ, რამდენიმე ადამიანმა მაჩუქა! ყველას დიდი მადლობა, მაგრამ მე გადავწყვიტე, პირველი ვინც გამომეხმაურა და მაჩუქა, ის პიანინო მეჩუქა. ეს გახლდათ ქალბატონი მანანა შევარდენიძე, რომელსაც ნამდვილად არ ვიცნობდი, ვიცნობდი მხოლოდ ფეისბუკით და მან კი ასეთი ძვირფასი საჩუქარი გამიკეთა! უღრმესი მადლობა ქალბატონ მანანასა და მის ოჯახს ასეთი საჩუქრისთვის.

როგორც ერთ ცნობილ ჩემთვის უსაყვარლეს ფილმ ,,ღვინის ქურდებშია“, „ლექსები შენზეა, ხომ იცი?“ კახი კავსაძის გმირი, ელიბო, გივი ბერიკაშვილის გმირს რომ ეუბნება, ისე ვიტყვი „რამდენიც გინდა“ – სიმღერები ჩემზეა! კიდევ ერთხელ მადლობა ყველას.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

„არ მეგონა, რომ ასე ვიტირებდი“

ტოტის არჩევანი – მხოლოდ ერთი მაისური

იტალიური ფეხბურთის ლეგენდის, ფრანჩესკო ტოტის მეტად საინტერესო ინტერვიუ იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა. ტოტიმ როგორც ნაკრებში, ისე რომაში გატარებულ პერიოდებზე ისაუბრა. ფრანჩესკომ ისიც განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელება 2017 წლის შემდეგაც შეეძლო, მაგალითად, გენუის სამპდორიაში, მაგრამ არ სურდა, რომაში გატარებული 25 წლისთვის ხაზი გადაესვა.

– 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე ტრავმა მიიღეთ და იყო საშიშროება, მუნდიალის ოქროს მედალი ვერ მიგეღოთ.

– თებერვალში ძალიან სერიოზული ტრავმა მივიღე, ცუდად ვიყავი. ოპერაცია გამიკეთეს და იმ ეტაპზე დარწმუნებული ვიყავი, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვითამაშებდი. პროფესორმა, რომელმაც ოპერაცია ჩამიტარა, მითხრა, რომ მისი მხრიდან ყველაფერი გააკეთა და ოპერაციის მომენტიდან ყველაფერი ჩემზე იყო დამოკიდებული. მეორე დღეს მარჩელო ლიპი მეწვია. მან დიდი სურვილი და სიყვარული დამანახა. იმ გვირაბიდან გამოსვლის ძალას მაძლევდა. სწორედ მისი და თანაგუნდელების წყალობით შევძელი ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ტიტულის მოგება.

– იტალიის ნაკრებიდან წასვლა ადრე, 30 წლის ასაკში გადაწყვიტეთ. რა იყო ამის მიზეზი?

– ეროვნული ნაკრების დატოვება ჯერ კიდევ ამ ტრავმამდე გადავწყვიტე. წელიწადში 60 თამაშს ვთამაშობდი, ზურგის პრობლემა მქონდა და რაღაცაზე უარი უნდა მეთქვა. არ შემეძლო რომას დატოვება, რადგან ეს ჩემი ცხოვრება იყო. საბედნიეროდ, ეროვნული ნაკრებიდან მსოფლიო თასით წავედი.

– რომასა და საერთოდ ფეხბურთის დატოვება მაინც მოგიხდათ.

– ადრე თუ გვიან ეს გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. შემეძლო თუ არა რომას შემდეგ კარიერის გაგრძელება ისევე, როგორც დანიელე დე როსის? მე პატივს ვცემ დე როსის, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, სხვა გუნდში ეთამაშა, რადგან საკუთარ არჩევანში ყველა თავისუფალია. მეც მქონდა სხვადასხვა წინადადება როგორც იტალიიდან, ისე უცხოეთიდან. მინდოდა კიდეც თამაშის გაგრძელება, ვგრძნობდი, რომ ეს შემეძლო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, 1-2 წელი არაფერს შეცვლიდა. არჩევანი გავაკეთე და ეს იყო ერთი მაისურის ტარება – რომას შემდეგ თუნდაც ერთი წლით სხვაგან თამაში ყველაფერს წაშლიდა.

– როგორც ვიცით, იყო სამპდორიას წინადადება.

– წინადადებები ნებისმიერ ფასად ამერიკიდან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან მქონდა, ასევე სამპდორიადან. გენუელთა პრეზიდენტი მასიმო ფერერო რომაელი და რომანისტაა, ყველაფერს აკეთებდა, რომ თავის გუნდში გადავეყვანე.

– არადა, სამპდორიას ვარიანტი მანამდე გქონდათ, კარიერის დასაწყისში, სანამ რომაში მოხვდებოდი. ეს ყველაფერს შეცვლიდა?

– რომის ტურნირზე აიაქსთან და გლადბახთან რომ არ მეთამაშა, ერთი კვირის შემდეგ სამპდორიას ფეხბურთელი გავხდებოდი. მწვრთნელი კარგი თვალით არ მიყურებდა, მაგრამ ამ ტურნირმა ყველაფერი შეცვალა. საბედნიეროდ, რომაში დავრჩი, თორემ, ვინ იცის, შემდეგ სად წავიდოდი.

– როგორი იყო გუნდთან გამოსამშვიდობებელი საღამო?

– რაც დრო გადის, იმ დღეს უფრო ხშირად ვუყურებ, რომაში მთელი სიყვარული იყო ჩადებული. ყველაფერი მახსოვს, იმედი მქონდა, რომ დასასრული არასდროს მოვიდოდა. ეს იყო ყველაზე ლამაზი და, ამავე დროს, მახინჯი დღე. კარიერა დავასრულე, მაგრამ მივიღე ბევრი სიყვარული. არ მეგონა, რომ ასე ვიტირებდი და ემოციებს ვერ შევიკავებდი. ჩემთვის მინდორი ყველაფერი იყო, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, რომ რომას

გულშემატკივარი გამეხარებინა. კარგად ვიცი, რას ნიშნავს რომაელობა და რომანისტობა.

– როგორი იყო ლუჩანო სპალეტი?

– 2 განსხვავებულ სპალეტის ვიცნობ. პირველი ტოპი იყო, როგორც მეორე მამა, ყოველთვის მასთან ვიყავი, მეორეს კი ჰქონდა თავისი მიზეზები, არაფერს ვამბობ, თუმცა, საქმე ისე არ წავიდა, როგორც მსურდა. სირთულეები მქონდა, მაგრამ მაქსიმუმს ვცდილობდი.

– თქვენი მეგობარი სიმონე ინზაგი ახლა რომას მტრის, ლაციოს მწვრთნელია და საკმაოდ წარმატებულიც.

– სიმონესთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ჩვენ ერთმანეთს პატივს ვცემთ, იტალიის ნაკრებში ერთად ვთამაშობდით, ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ის სერია ა-ს საუკეთესო მწვრთნელებშია და დიდ საქმეს აკეთებს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მეორე რომაული გუნდი გაეწვრთნა, მაგრამ... როგორც რომას გულშემატკივარს, იმედი მაქვს, ლაციო მალე შეწყვეტს წარმატებულ სერიას.

იუვენტუსი მილიკით იწყებს

იტალიური მედიის ცნობით, ტურინის იუვენტუსმა არკადიუშ მილინკთან პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა. პოლონელთან კონსულტაცია რამდენიმე თვე მიმდინარეობდა და, როგორც იქნა, დასრულდა. თუმცა ეს ერთი ტაიმია, რადგან მეორე ნახევარში თანხმობა უკვე ნაპოლის პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა უნდა გასცეს.

ცხადია, ეს იოლი არ იქნება, მაგრამ ნეაპოლიტანურ კლუბს მილიკთან კონტრაქტი მომავალი წლის ბოლოს ეწურება და, თუ ახლა ნაპოლი იუვეს წინადადებას უარით უპასუხებს, მაშინ არსებობს საშიშროება, რომ ერთ ევროსაც კი ვერ აიღებს.

იტალიაში იუვენტუსის სხვა მოსალოდნელ ტრანსფერებზე ბევრი იწერება. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში კვლავინდებურად დაინყო საუბარი ბერნარდესკი-ძანიოლოს ბარტერზე. ბიანკონერის ნიკოლოს დამატება დიდი ხანია სურს და მზად არის პირდაპირი გარიგების განსახორციელებლად.

რომაელები კი მას შემდეგ, რაც ძანიოლომ მძიმე ტრავმა გადაიტანა, ამ შესაძლებლობას სულ უფრო და უფრო დიდი ინტერესით აკვირდებიან.

ბერნარდესკით ასევე ლონდონის ჩელსიც ინტერესდება და ფაბიო პარატიჩიმ უკვე გამართა მოლაპარაკებები „არისტოკრატებთან“.

მათ შემთხვევაში საქმე ჟორჟინიოს ეხება, რომელსაც ინგლისელები 60-70 მილიონად აფასებენ და ასეთ შემთხვევაში პირდაპირ ბარტერზე საუბარი გაჭირდება, რადგან ბერნანდესკის ღირებულება 40 მილიონს უტოლდება.

ძანიოლოს შემთხვევაში კი ციფრებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯვარედინი მყესების გაწყვეტამ მოახდინა. ამიტომ პარატიჩი ამ შესაძლებლობის რეალიზებასა და ტურინში გუნდისთვის ერთ-ერთი სასურველი ფეხბურთელის ჩაყვანას ეცდება.

საინტერესო ინფორმაციას აქვეყნებს იტალიური და ფრანგული მედია მარკო ვერატის თაობაზე. როგორც ირკვევა, მაქს ალეგრი დიდი სერიოზულობით განიხილება პსჟ-ს თავკაცის პოსტზე. მისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტრანსფერად კი მირალემ პიანიჩი სახელდება.

უკვე არაერთხელ გაიჟღერა ცნობებმა, რომ პარიზელები ბოსნიელი შუახაზელით ინტერესდებიან და იუვესთან პირველადი მოლაპარაკებებიც გამართეს. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ერთმანეთთან ფინანსური ვალდებულებები მოაგვარეს, მაშინ, შესაძლოა, ვერატი-პიანიჩის ბარტერმა სერიოზული სახე მიიღოს.

თავის მხრივ, ვერატის იუვენტუსს ჯერ კიდევ პესკარადან უკავშირებენ, მაგრამ ეს ყოველივე დღემდე სატრანსფერო ჭორებადვე რჩება. ვნახოთ, უახლოეს პერიოდში რამე თუ შეიცვლება.

იუვე ასევე დაინტერესდა სანტოსის ახალგაზრდა ფორვარდ კაიო ჰორჰესით, მაგრამ ჯერ მეტი პროგრესი არ შეინიშნება.

ტურინელთა სამიზნეა მარკუს ტურამი, ლეგენდარული ლილიან ტიურამის ვაჟი, თუმცა – ჯერ მხოლოდ სამიზნე.

იუვენტუსი ბარსელონის ნახევარმცველ არტურის გადაბირებას ცდილობს. იტალიელები ფეხბურთელს ხელფასის გასამმაგებას ჰპირდებიან. დაუზუსტებელი ინფორმაციით, არტურს ბარსელონაში 5 მილიონ ევროს უხდიან. ასეთ დროს ცდუნებას ვინ უნდა გაუძლოს?

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ორსართულიანი სახლის ზედა სართული ფშავ-ხევსურეთში; 2. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 3. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 4. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 5. მჟავე, მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 6. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 10. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი; 11. აეროპორტი ქუთაისის მახლობლად; 14. უბანი თბილისში; 16. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე; 18. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 20. მწვერვალი კავკასიონზე; 23. ციმბირული ირემი; 24. ნავსადგური ყირიმში; 25. მომწამლავი ნივთიერება; 26. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი.

თარაზულად: 7. პირფერული ქება; 8. მცენარის სასიცოცხლო მოქმედება, ზრდის პროცესი; 12. ქარისგან წარმოქმნილი სილის გორაკი ზღვის, ტბის სანაპიროზე; 13. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 15. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 17. ფრანგი ბარონი, თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელი; 19. ღვინის სასმისი; 21. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 22. თეთრი, მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 27. ვაზის მავნებელი მწერი; 28. ქართველთა გამაერთიანებელი მეფე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იმპერატივი; 2. „სუძუკი“; 3. ვალონია; 4. „ბროლა“; 5. დიპტანკი; 6. ჟოკეი; 7. „ბორჯომი“; 9. პაგოდა; 13. ჰააგა; 17. დუდა; 18. ირი.

თარაზულად: 1. ინგლისი; 3. ვალაბი; 8. ჟიგოლო; 10. კურიოზი; 11. გროგი; 12. ბაგიათი; 14. სტადია; 15. ალაზანი; 16. კოდაი; 19. ნეგუსი; 20. ვიადუკი; 21. მაჭარი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვაისი; 2. გაუჩო; 3. „ნესკაფე“; 4. ჩოხა; 5. ფიტი; 6. ანექსია; 9. ვარდოსანიძე; 10. არბიტრაჟი; 11. გერიატრია; 14. სევრი; 16. „ნაიკი“; 18. დიუპონი; 20. „დამპერი“; 23. ხევი; 24. ვარნა; 25. აჭარა; 26. „როდა“.

თარაზულად: 7. ფენოლოგია; 8. ხუზისტანი; 12. ტავრო; 13. უელსი; 15. სადია; 17. ველასკესი; 19. ცენტი; 21. ბურუე; 22. „გიუმი“; 27. ანტიკვარი; 28. „ბაღდადური“.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9805

ევრო — 3.3599

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7656

100 რუსული რუბლი — 4.3688

ამინდის პროგნოზი 10 ივნისისათვის

სადიო მანე: „ლივერპული არ უნდა მოდუნდეს“



ლივერპულის სენეგალელმა ფორვარდმა სადიო მანემ განაცხადა, რომ ლივერპულს მოდუნების უფლება არა აქვს, როდესაც სეზონი განახლდება, მიუხედავად იმისა, რომ ლივერპულელები დიდი უპირატესობით ლიდერობენ.

– ვიცი, რომ დიდი უპირატესობა გვაქვს, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი დასრულებულია. მინდა, მოედანზე ისევ ის ლივერპული ვიხილო, რომელიც ადრე იყო და ჩვენ მოგებები მოგვენატრა. სეზონის განახლება მიხარია.

ნეიმარს ბარსელონაში დაბრუნება ისევ სურს



ნეიმარს ისევ სურს ბარსელონაში დაბრუნება. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება ფრანგულ პრესაში. წლევანდელ ზაფხულს ამის გაკეთება რთული იქნება, რადგან კორონავირუსის გამო ბარსელონაში მცირე ფინანსური კრიზისია. მიუხედავად ამისა, ნეიმარი მზად არის, ხელფასის შემცირებაზეც წავიდეს, თუ ბარსელონაში დაბრუნდება.

ბრაზილიელ ფორვარდს პსჟ-სთან კონტრაქტი 2022 წლამდე აქვს და ჯერჯერობით კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს.

სერხიო რამოსმა ერთ წელიწადში, შესაძლოა, რეალი დატოვოს

მადრიდის რეალის ცენტრალური მცველი სერხიო რამოსი, შესაძლოა, მომავალ წელს რეალიდან წავიდეს, რადგან რეალს მისთვის კონტრაქტის გახანგრძლივება ჯერ არ შეუთავაზებია. რამოსის კონტრაქტი კი მომავალ ზაფხულს მთავრდება და, დიდი შანსია, მან რეალი დატოვოს, რადგან სამეფო გუნდი ხშირად უშვებს ვეტერანებს, გავიხსენოთ თუნდაც კასილიასი და რაული.

სერხიო რამოსი მადრიდის რეალის ღირსებას 2006 წლიდან იცავს.

ლეონარდო ბონუჩი: „იუვენტუსის გარეშე რთული იყო“

ტურინის იუვენტუსის მცველმა ლეონარდო ბონუჩიმ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც მან იუვენტუსი დატოვა და ერთი წელიწადი მილანში გაატარა. ბონუჩის თქმით, ეს შეცდომა იყო და სწორედ ამიტომ იუვენტუსში მალე დაბრუნდა:

– იუვენტუსში მცირე უსიამოვნებები მქონდა და ამიტომ გადავწყვიტე წასვლა, თუმცა მივხვდი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა. მიხარია, რომ დაბრუნება მოვახერხე და ამჟამად ტურინში ძალიან ბედნიერი ვარ. იუვენტუსის გარეშე რთული იყო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– დღე-ღამეში 24 საათია. ყუთში 24 ქილა ლუდია...

– მერე?

– მერე ის, რომ აბა დაფიქრდი, ეს უბრალოდ დამთხვევაა?

•••

მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა, მოეფიქრებინათ წინადადება, რომელშიც სიტყვა „შესანიშნავია“ ორჯერ იქნებოდა გამოყენებული.

ლელა პასუხობს:

– გუშინ მამამ დედას შესანიშნავი კაბა უყიდა, რომელშიც დედა შესანიშნავად გამოიყურება.

ვანო პასუხობს:

– გუშინ ბებიამ შესანიშნავი ნამცხვარი გამოაცხო, რომელიც შესანიშნავი საჭმელი გამოდგა.

გიგი:

– გუშინ ჩემმა უფროსმა დამ გამოგვიცხადა, რომ ფეხმძიმედაა და მამამაც წამოიძახა: „ჰოო!!! შესანიშნავია, შენი დედაც... უბრალოდ შესანიშნავი!“

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ნახე როგორ ერთიანად გათეთრდა შენი მაისური ახალი სარეცხი ფხვნილით გარეცხვის შემდეგ.

– ჰო, მაგრამ მე ის ზოლებით უფრო მომწონდა!

•••

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

– ჩემი ქმარი ძილში ისე გაუთავებლად საუბრობს, რომ უბრალოდ, საშინელებაა! და შენი ძილში ლაპარაკობს?

– არა, მხოლოდ იღიმება... ნაძირალა!

•••

ქმარმა სახლში პორნოფილმი მიიტანა, ჩართო და ცოლთან ერთად უყურებს. ბოლოს მობეზრდა და ცოლს ეუბნება:

– დასაძინებლად მივდივარ...

ნახევარი საათის შემდეგ ქმარმა ცოლს საძინებლიდან გამოსძახა:

– დაძინებას არ აპირებ?!

– დამაცადე ძვირფასო, მინდა ბოლომდე ვუყურო.

– რატომ?

– მინდა გავიგო, ამ ყველაფრის შემდეგ, ის კაცი იმ ქალს ცოლად თუ მოიყვანს...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ამერიკაში ჟურნალისტი თენგიზ სულხანიშვილი გარდაიცვალა



ამერიკაში ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი თენგიზ სულხანიშვილი გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ქორეოგრაფმა, ანსამბლ „მეტეხის“ დამაარსებელმა გელოდი ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ჩემი უახლოესი მეგობარი, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი თენგიზ სულხანიშვილი. თენგიზი იყო უაღრესად განათლებული და ერუდირებული ადამიანი. მან ბევრი რამ გააკეთა ქართული ჟურნალისტიკისა და პოლიტიკის სფეროშიც.

მას არ დასცალდა საქართველოში ჩამოსვლა, ისე უდროოდ წავიდა ამქვეყნიდან. ბოლო დროს ძალიან ავადმყოფობდა და ამბობდა კიდეც, მე აღარ გადავრჩებიო! თან არც უნდოდა, რომ ამერიკაში დასაფლავებულიყო. კორონასთან გამო ის ამერიკის შეერთებულ შტატებში დასაფლავდა, ხოლო როდესაც კორონას პანდემია ჩაივლის, გადმოსვენდება საქართველოში. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ამერიკისა და საქართველოს მიწა! მთელი გულით ვუსამძიმრებ მის ოჯახს ამ ტრაგედიას.

დემნა გვასალიას მწვანე ქურთუკისთვის მყიდველი დააკავეს

ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას მწვანე ქურთუკისთვის, რომელსაც პოლიცია აწერია, გერმანიაში მყიდველი დააკავეს:

– მყიდველმა მომწერა, რომ გერმანიაში დააკავეს, რადგან ჩემი მწვანე ქურთუკი ეცვა, რომელსაც გერმანულად პოლიცია აწერია. გერმანიაში არ არსებობს კანონი, რომელიც ამ სიტყვის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებას კრძალავს, მაგრამ იქაურმა ავტორიტეტებმა ჩათვალეს, რომ დარღვევაა.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ადამიანს დააკავებენ, რადგან გერმანიაში ჩვენი კოლექცია საკმაოდ სწრაფად გაიყიდა. მაისურებიც და ქურთუკებიც სრულად გაყიდულია.

ცოტნე ზედგინიძემ გარდაცვლილ დედას ნაწარმოები მიუძღვნა

ვუნდერკინდად წოდებულმა ქართველმა პიანისტმა ცოტნე ზედგინიძემ გარდაცვლილ დედას ახალი ნაწარმოები მიუძღვნა. მისი პრემიერა 14 ივნისს ფონდ „იავნანასთან“ ერთად გაიმართება.

პაატა ბურჭულაძე:

– 14 ივნისს ფონდ „იავნანასთან“ ერთად ცოტნე ზედგინიძის ნაწარმოების პრემიერა გველოდება.

ეს საოცარი ბიჭი საზოგადოებამ პირველად ზუსტად ერთი წლის წინ, 14 ივნისს გაიცნო, როდესაც ცოტნეს პირველი კონცერტი გაიმართა. ვირტუოზული შესრულება არ არის ის მთავარი, რამაც ყველანი გაგვაოცა. მისი მუსიკალური ენის სიღრმე და მასშტაბი იყო დაუჯერებელი, ხასიათების გამოსახვა ბგერებით, სათქმელის გადმოცემის მანერა. ჩემს უცხოელ მეგობრებს, სანამ კადრები არ ვანახე, ვერ ვაჯერებდი, რომ ამას უკრავდა 10 წლის ბიჭი.

ამჯერად ცოტნემ დედის ხსოვნას მიუძღვნა ნაწარმოები „ზარები“, რომლის პრემიერაც პირდაპირ ეთერში 14 ივნისს, 20 საათზე შედგება. წარმატებული პრემიერა ვუსურვოთ ცოტნეს.

მადლობა მინდა გადავუხადო მის აღმზრდელ პედაგოგსა და, ამავე დროს, ბებიას, ნინა მამრაძეს. მადლობა ნიკოლოზ რაჭველს, რომ ერთი წლის წინ სცენაზე გამოიყვანა და გაგვაცნო პატარა ცოტნე.

მასტერი ბურგერრესტორანს ხსნის

რეპერი მასტერი მასტერშეფის მეორე სეზონის ფინალისტ გაგასთან ერთად ბახტრიონზე ბურგერრესტორანს ხსნის:

– მალე ჩემი და მასტერშეფიდან გაგას ბურგერრესტორანი ბურგერბოსი აგუგუნდება.

სუპერგუნდში ახალი წევრების ვაკანსიები გვაქვს. მიმტანები და მზარეულები გვჭირდება. უმთავრესი მოთხოვნა მსგავს პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაა.

ჩვენ დაგახვედრებთ უმაგრეს გარემოსა და ძალიან მეგობრულ გუნდს, თქვენგან მოტივაციასა და ორგანიზებულობას ველით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 ივნისისათვის

ვერძი – ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. ინტიმურ სფეროში უსიამოვნებაა მოსალოდნელი. **კურო** – ჩანაფიქრის განხორციელებას საკმაოდ ადვილად ახერხებთ. ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. **ბუეები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ბიზნესსაქმიანობა დღეს არასასურველია. **კირჩხიბი** – დღის პირველი ნახევარი ბუნების წიაღში გაატარეთ. ეცადეთ, დამშვიდდეთ და სულიერი ძალები აღიდგინოთ. საღამო ოჯახის წევრებს მიუძღვენით. **ლომი** – ერთდროულად მრავალი პრობლემის მოგვარება მოგიწევთ. პრიორიტეტი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მიანიჭეთ. **ქალწული** – იყავით დამთმობი. თხოვნაზე უარს, შეძლებისდაგვარად, ნურავის ეტყვით. **სასწორი** – დაუფიქრებლობა და აჩქარება ფინანსურად დაგაზარალებთ. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. **ღრიანკალი** – წარმატების გასაღები საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში დევს. დაეხმარეთ ადამიანებს. **მშვილდოსანი** – ნუ აჩქარდებით. ერიდეთ მძიმე საქმის კეთებას. ყველა უსიამოვნება წარსულში რჩება. **თხის რქა** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ ან სულაც დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – ნებისმიერი საქმე დიდი დაკვირვებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. თავი შეიკავეთ კონფლიქტში ჩართვისაგან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. მიქელანჯელოს ქანდაკება; 3. გერმანელი მეცნიერი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიოლოგია-მედიცინის დარგში; 4. წინაღობა სარბენ ბილიკზე მძლეოსნობაში; 5. ლიტვის დედაქალაქი; 6. მეტალურგიაში, ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს დნობის დასაჩქარებლად; 7. ჟურნალ „პლეიბოის“ დამფუძნებელი; 9. ქალაქი-მუზეუმი უზბეკეთში; 13. მდინარე ინდოეთსა და ბანგლადეშში; 17. შაქრის ლერწმის არაყი; 18. უკრაინული ბორში.

თარაზულად: 1. ფაიფურის მწარმოებელი უძველესი ბრიტანული ფირმა; 3. ლირიკული ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 8. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ნორვეგიაში; 10. ქართველი კარდიოლოგი აკადემიკოსი; 11. გვარის, თემის მეთაური არაბულ ქვეყნებში; 12. ვერცხლისწყლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. ჩინეთში წარმოშობილი, ქაღალდისაგან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 16. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 19. ანსამბლ „როლინგ-სტოუნზის“ ლიდერი; 20. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 21. პროექტის წინასწარი მონახაზი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა